Amt Truppenbetreuung
Europa-Dienst
Berlin
Schl...

Georgische Zeitung „SAKARTHWELO"

# საქართველო

№ 32 (109) გამოც. მე-3 წელი ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი ბერლინი, 14 აგვისტო, 1944 წ.

## ყველაფერს გადავლახავთ...

### ფიურერის სიტყვა პოლიტიკური ხელმძღვანელებისადმი

4 აგვისტოს, ყრილობის დამთავრების შემდეგ, ადოლფ ჰიტლერმა მიიღო მთავარ სადგომში საიმპერიო და ოლქის ხელმძღვანელები.

საიმპერიო ხელმძღვანელმა გენერალმა რიტერ ფონ ეპმა თავის გულთბილ სიტყვაში გამოსთქვა სიხარული იმის გამო, რომ იგი ხედავს ფიურერს 20 ივლისის თავდასხმის შემდეგ სავსებით ჯანმრთელს და ენერგიით აღსავსეს.

ადოლფ ჰიტლერმა მიმართა სიტყვით შეკრებილ პოლიტიკურ ხელმძღვანელთ. მან გააშუქა 20 ივლისის თავდასხმის კულისებსიქითა ყველა მხარე და ინტრიგა. დანაშაულის შეფასების დროს, განაცხადა ადოლფ ჰიტლერმა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბოროტმოქმედნი ნამდვილად ეწეოდნენ მთელი ერის ბრძოლისა და მუშაობის საბოტაჟს, არამარტო 1941 წლიდან, არამედ იმ მომენტიდან, რაც ნაციონალ-სოციალიზმი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა. ეს ხროვა რიცხობრივად მცირე იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდა. შემდეგ ადოლფ ჰიტლერმა გააცნო დამსწრეთ კერძოდ იმის შესახებ, თუ ეს წრეები როგორ უწევდნენ განუწყვეტლივ წინააღმდეგობას მთავარსარდლობის ყველა ღონისძიებას. ეს წინააღმდეგობა დამთავრდა ახდილი ღალატით მებრძოლი ჯარებისადმი და ფრონტის მომარაგების უშუალო საბოტაჟით. ბოროტმოქმედთა ამ ბრბოსთან არაფერი აქვს საერთო ჩვენს უმრავლესობას, პატიოსანი გერმანელი ოფიცრების ასი ათასებს, რომელნიც ზიზღითა და აღშფოთებით ზურგს უქცევენ მათ.

თვითონ ადოლფ ჰიტლერი გადარჩენის სასწაულს იხილავს, როგორც განგების ნებასურვილს, და როგორც პირად შემსუბუქებას, რომ ეხლა საბოლოოდ შესაძლებელი გახდა, აქამდე დაფარული შინაგანი წინააღმდეგობის აღმოჩენა და ბოროტმოქმედთა ბრბოს განადგურება. ეხლა საჭიროა გაკეთდეს დასკვნები ამ ფაქტებიდან. ბოლოსდაბოლოს, გამოვიტანთ რა ოდესმე დასკვნებს, შეიძლება დავადგინოთ, რომ ეს ვერაგი საქმე, დამნაშავეთა სურვილის წინააღმდეგ, გადაიქცა გერმანიის მომავლისათვის მეტისმეტად სასარგებლოდ.

„მე არ მაშინებს ბრძოლა, — განაცხადა ფიურერმა, — გარეშე მტრებთან. მიუხედავად ყველაფრისა, მათ ჩვენ ბოლოსდაბოლოს გავუსწორდებით. მე მხოლოდ მტკიცედ უნდა ვიყო დარწმუნებული, რომ ჩემს უკან მეფობს აბსოლუტური ნდობა და სრული თანაგრძნობა. ეს წარმოადგენს წინაპირობას. ჩვენ ვერ შევძლებდით მოგვეხდინა ჩვენი ხალხის ყველა ძალის მობილიზაცია ისე, როგორც ეს სწარმოებს დღეს, თუ გაგრძელდებოდა ამჟამად უკვე მოსპობილ ხელისშემშლელთა დანაშაულებრივი მოქმედება. ერის ყველა შინაგანი და სამხედრო ძალის მობილიზაციით კი ჩვენ გადავლახავთ ყველა სიძნელეს.

მე ბედს ვუმადლი სიცოცხლის გადარჩენისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ შემიძლია განვაგრძო ბრძოლა, ვინაიდან ვთვლი, რომ მე ერისთვის აუცილებლად საჭირო ვარ, რომ მას სჭირდება ისეთი ადამიანი, რომელიც არავითარი მდგომარეობის დროს არ წავა კაპიტულაციაზე, არამედ პირიქით, მტკიცედ მაღლა ეჭირება რწმენისა და ნდობის დროშა და რომ არავის არ შეეძლო ამის გაკეთება ისე, როგორც ვაკეთებ მე. რა ბედიც არ უნდა დაგვატყდეს თავზე, ყოველთვის დავრჩები მტკიცე მედროშედ!

სწორედ 20 ივლისმა მომცა ასეთი რწმენა, როგორიც არასოდეს არ მქონია აქამდე. ამიტომ ჩვენ გავუძლებთ ამ ომს და მივიყვანთ მას გამარჯვებამდე!"

ადოლფ ჰიტლერის სიტყვის შემდეგ პარტიულმა ხელმძღვანელებმა მოუწყეს მას ოვაცია და გამოუცხადეს თავიანთი ერთგულება და ნდობა.



ფიურერი საავადმყოფოში ესტუმრა 20 ივლისის თავდასხმის დროს მძიმედ დაჭრილ გენერალ-ლეიტენანტ შმუნდტს...

## გერმანიის ხელმძღვანელთა გამოსვლა

3 და 4 აგვისტოს შესდგა საიმპერიო, ოლქებისა და ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელთა ყრილობა, მოწვეული პარტიული კანცელარიის უფროსის, საიმპერიო ხელმძღვანელის ბორმანის მიერ. ყრილობაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ტოტალური მობილიზაციის რწმუნებული, საიმპერიო მინისტრი დოქტორი გებელსი, სამხედრო მრეწველობის საიმპერიო მინისტრი შპეერი და სათადარიგო ნაწილების სარდალი, „სს"-ის რაიხსფიურერი ჰიმლერი. მათ გააკეთეს საფუძვლიანი მოხსენებები, რომლებშიც მოგვცეს დღემდე არსებული მდგომარეობის საერთო სურათი ყველა დარგში, ტოტალურ ომთან დაკავშირებით, აგრეთვე დამსწრეებს მისცეს დირექტივები მათი მომავალი მუშაობისათვის.

პირველად სიტყვა აიღო დოქტორმა გებელსმა, რომელმაც განაცხადა, რომ პარტიისათვის ამჟამად ისტორიულ ამოცანად ითვლება გერმანელ ხალხში არსებული ყველა ძალის მობილიზაცია, რათა შესაძლებელი გახდეს ომის მიმდინარეობის გადამწყვეტი შემობრუნება.

საიმპერიო მინისტრმა შპეერმა გააკეთა დაწვრილებითი მიმოხილვა გერმანიის სამხედრო წარმოების განსაკუთრებული განვითარებისა და იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც მის წინაშე სდგანან ტექნიკურ უპირატესობათა მისაღწევად მოწინააღმდეგესთან შედარებით. მან აგრეთვე დაუმატა, რომ საჭიროა ერის ყველა ძალის მობილიზაცია, რათა ფრონტს მივცეთ ჯარისკაცების მეტი რაოდენობა. საბოლოო გამარჯვებისათვის გერმანიის ხალხს სწორედ ტექნიკის დარგში აქვს უპირატესობა, ამიტომ მან გადაწყვეტილებითა და ძალით აღსავსემ უნდა გამოიყენოს ეს შესაძლებლობა.

დაბოლოს, „სს"-ის რაიხსფიურერმა ჰიმლერმა წარმოსთქვა ვრცელი მნიშვნელოვანი სიტყვა. მან გააკეთა მოხსენება 20 ივლისს მომხდარი დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ. „სს"-ის რაიხსფიურერმა ჩამოაყალიბა ის იდეები და პრინციპები, რომელთა საფუძველზეც მას სურს ააგოს თავისი მუშაობა გერმანული ჯარის ჩარჩოებში. იმპერიის ბედიღბლისთვის ბრძოლა უნდა სწარმოებდეს წმინდა სახალხო ომის სახით. ნაციონალ-სოციალისტური სახალხო არმიის ძირითადი პრინციპებია ერთგულება, დისციპლინა და მამაცობა. მისი ერთადერთი ამოცანა და მიზანი არის ომის მოგება: ბედმა დღეს შეაკავშირა ჯარი, პარტია და მთელი გერმანია და გადააქცია მტკიცე ერთეულად. შეკავშირებული, როგორც არასოდეს, გერმანიის ხალხი გახდება ფიურერისა და მისი მაგალითის ღირსი გაუძლოს განსაცდელს და მიაღწიოს საბოლოო გამარჯვებას.

*

გერმანიის ისტორიის გადამწყვეტ მომენტში, ახალგაზრდობის აღზრდის საიმპერიო ხელმძღვანელმა და „დიდი გერმანიის" დივიზიის საოფიცრო კორპუსის წარმომადგენელმა, ბალდურ ფონ შირახმა წარმოსთქვა სიტყვა ახალგაზრდა მოხალისეთა წინაშე.

დაჰგმო რა გამცემთა ხროვა, ბალდურ ფონ შირახმა განაცხადა: „ჩვენ გვყავს ფიურერი და მასთან ერთად გვაქვს გამარჯვება. მისი გადარჩენა გერმანიის გადარჩენა იყო. გერმანიის ბედის შავი დღეები უკან მოვიტოვეთ. ეხლა უკვე ვიცით, რომ არსებობს მხოლოდ ერთი, — მაღლა და წინ! გერმანიის ბედის შემობრუნების სწორედ ამ დღეებში, თქვენ, ხდებით რა ნაციონალ-სოციალისტური სახალხო არმიის ჯარისკაცებად, კარგად იგრძნობთ, რა ვალდებულებაა თქვენზე დაკისრებული და რა მოვალეობა უნდა შეასრულოთ. ამას მოითხოვს სათადარიგო ნაწილების მთავარსარდალი, „სს"-ის რაიხსფიურერი ჰიმლერი, რადგან ამაში ჰხედავს ყველა ნაციონალ-სოციალისტისა და ჯარისკაცების მუშაობის საბოლოო მიზანს.

თქვენ, ჩემო ახალგაზრდა მებრძოლო ამხანაგებო, მოხალისენო, ჰიტლერის ახალგაზრდობიდან გამოსულნო, სწორედ ეხლა დაინახავთ თქვენს მოვალეობას და ვალდებულებას იმაში, რომ ღირსეულად ემსახუროთ ფიურერსა და გერმანიის ხალხს. ეხლა შეიცნობთ ერის მებრძოლთა გასაოცარ მეგობრობას. 20 ივლისმა ჩვენ გაუგონარი ძალა შეგვმატა. ბოროტმოქმედნი მოსპობილნი იქნებიან, ხალხი გაიმარჯვებს! არ არსებობს და არც იქნება ისეთი დაძაბულობა, რომელსაც ჩვენ ვერ გავუძლებთ!"

## მალე დაჰკრავს განთავისუფლების საათი

არმიის გენერალური შტაბის ახალმა უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა გუდერიანმა „დოიჩე-ნახრიხტენის" ბიუროს სამხედრო თანამშრომელთან ჩაატარა ხანმოკლე საუბარი. სამხედრო თანამშრომელი გენერალ-პოლკოვნიკს შეხვდა იმ დროს, როცა იგი სეირნობდა თავისი სადგომის გარშემო. მან გენერალ-პოლკოვნიკს გადასცა უკანასკნელი ცნობები, რომელსაც მტრები ავრცელებენ აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობის შესახებ და სთხოვა მას გამოეთქვა თავისი შეხედულება. ცნობების გადათვალიერების შემდეგ, გენერალ-პოლკოვნიკმა ირონიული ღიმილით წარმოსთქვა: „რა უნდა გითხრათ ამაზე? თქვენ იცით, რომ მტერს გარკვეული პოლიტიკური მიზნები აქვს, რის გამო იგი ავრცელებს ჭეშმარიტებამოკლებულ ცნობებს".

კ ი თ ხ ვ ა: „ბატონო გენერალ-პოლკოვნიკო, რა შეფასებას აძლევთ თქვენ აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას?"

პ ა ს უ ხ ი: „უდავოა, რომ რიცხობრივად ჭარბი ჩვენი საბჭოთა მოწინააღმდეგე გვაყენებს საგრძნობ ზიანს, მაგრამ ჩვენ მას დავძლევთ. ჩვენი ჯარები სასწაულებს ახდენენ, მათი სულიერი განწყობილება დაცვისა და შეტევების დროს სამაგალითოა. ეს სულისკვეთება გამოვლინებული იქნება მხოლოდ ფრონტის განსაზღვრულ პუნქტებზე, სადაც ისინი მოკლე ხანში აღადგენენ ნაბრძანებ მდგომარეობას".

კ ი თ ხ ვ ა: „მაშასადამე, იმაზე ლაპარაკი ზედმეტია, თითქოს გერმანია-საბჭოთა ომის შედეგი უკვე გადაწყვეტილი იყოს, როგორც ამას ინგლისელები ამტკიცებენ?"

პ ა ს უ ხ ი: „ინგლისელთა ამ მტკიცებას ჩვენ კარგად დავიხსომებთ. მებრძოლისათვის უკეთესია, როდესაც მტერი თვითონ ატყუებს თავისთავს. ცხადია, რომ საბჭოები ჩვენს გათელვას სცდილობენ, ნათელია აგრეთვე ისიც, რომ იმპერიისა და მის მოკავშირეთა ტერიტორიასთან მათი მოახლოება ავანტურის ხასიათს ატარებს. მაქვს რა ცნობები მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე ვიცი ჩვენი შემდეგი დისპოზიციები, დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ეხლანდელ შემოტევებს არამცთუ დავძლევთ, არამედ ბოლშევიკები განდევნილი იქნებიან ყველა იმ ოლქებიდან, რომლებსაც ისინი ამჟამად ულმობლად ანადგურებენ.



დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალი, გენერალ-ფელდმარშალი ფონ კლუგე ნორმანდიის ფრონტზე.

ვერამ შარაძის

# გენერალური შემოტევა

დ. სალირაშვილი

გერმანიის მოწინააღმდეგე კოალიცია, — კომუნისტური რუსეთი და წმინდა კაპიტალისტური ინგლის-ამერიკა — სამი მხრით, კონცენტრიულად უტევს ევროპის ციხე-სიმაგრეს. ამას ემატება კიდევ საჰაერო თავდასხმა, რომელმაც უკანასკნელ ხანებში ინტენსიური ხასიათი მიიღო. ჩვენს წინაშე შიშველი ფაქტია: ინგლის-ამერიკელთა შემოჭრა ნორმანდიაში, დაწყებული 6 ივნისს, სადაც ისინი დიდი ძალებით ცდილობენ პარიზისაკენ გაჭრას და 22 ივნისს, გერმანიის მიერ საომარი მოქმედების დაწყების დღეს, ბოლშევიკების საზაფხულო შემოტევის დაწყება, რომელიც თავის მხრივ უახლოეს მიზნად ისახავს პოლონეთის დაკავებას და ბალტიის ზღვისკენ გასვლას. იტალიიდან მოკავშირეები ემუქრებიან ბალკანეთს და ყოფილ იუგოსლავიას. ეს არის მოკავშირეების უახლოესი მიზანი, რომლის მიღწევით, მათი წარმოდგენით, ადვილდება გერმანიის საბოლოო დამარცხება.

ამრიგად, როგორც ნათლად სჩანს, გერმანიის მოწინააღმდეგეთ განზრახვა აქვთ ამ წელს დაამთავრონ ეს სისხლიანი ომი. ამის შესახებ უკვე აშკარად ლაპარაკობს მტრის პრესაც. ისინი ჩქარობენ, მათ საშურად აქვთ საქმე. ისმება კითხვა: რა მოხდა? რატომ აჩქარდნენ ინგლის-ამერიკელი სტრატეგები? დღემდე ხომ ისინი სცდილობდნენ, რაც შეიძლება გაეხანგრძლივებინათ ეს ომი, მოექანცათ მოწინააღმდეგე ნაკლები მსხვერპლის გაღებით და ამ გზით ადვილად დაემორჩილებინათ იგი?

ჩვენი აზრით, ინგლის-ამერიკელები ბოლშევიკების საერთო მდგომარეობამ აიძულა დაეწყოთ სისხლიანი შემოჭრა ევროპაში. ამჟერად მათ ბრძოლა ამჯობინეს კუნძულებზე არხეინად ცდას. ომის ლოგიკა კი ისეთია, რომ მათ უკვე აღარ შეუძლიათ შეჩერდნენ შერბურგის ვიწრო ყელზე. ეს მათთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. მათ ესაჭიროებათ მეტი გასაქანი. მაგრამ უკვე ორ თვეზე მეტია, არსებითად ვერ გასცილებიან ზღვის ნაპირებს და საზღვაო არტილერიის მანძილს, მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი მსხვერპლი გაიღეს. ეს გარემოება, ბუნებრივია, იწვევს მათ ხალხებში უკმაყოფილებასა და ზედმეტ ნერვიულობას. ინგლის-ამერიკელმა ჯარისკაცმა არ იცის, რისთვის იბრძვის იგი, რატომ იღვრება ამდენი სისხლი. მათი მთელი პროპაგანდა ხომ იქითკენ იყო მიმართული, რომ გერმანიასთან ომი თითქოს გადაიქცეოდა ევროპაში ადვილ გასეირნებად. ინგლის-ამერიკელთა ფართო წრეები ეხლა რწმუნდებიან, რომ ევროპა სასეირნო ბაღად კი არა, შეიძლება სასაფლაოდ გადაექცეთ მათ. ამიტომ არის სწორეთ, რომ ომის მესვეურთ ჩვენს მოწინააღმდეგეთა ბანაკში, ომის გახანგრძლივება უკვე სახიფათოდ მიაჩნიათ.

ამავე დროს, საბჭოთა რუსეთის მდგომარეობაც ისეთია, რომ მას უკიდურესად ესაჭიროება ომის რაც შეიძლება სწრაფი დაბოლოვება. ბოლშევიკებს სურთ მიაღწიონ გამარჯვებას, რადაც არ უნდა დაუჯდეთ. ამიტომ არის, რომ ისინი არავითარ მსხვერპლს აღარ ერიდებიან.

ომის დაჩქარებით დამთავრებას აიძულებს ინგლის-ამერიკელებს აგრეთვე იაპონიის გაძლიერება ეკონომიური და მატერიალური თვალსაზრისით. რაც მეტი დრო გადის, იაპონია მით მეტ ნედლ მასალას იღებს იმ ქვეყნებიდან, რომლებიც მან ომის პირველ პერიოდში დაიპყრო.

მაგრამ, მთავარი მიზეზი, რომელიც აიძულებს გერმანიის მოწინააღმდეგეებს მისცენ ომის მსვლელობას მეტი ინტენსიობა, სხვაგან უნდა ვეძიოთ. ომის დაწყების შემდეგ გერმანიამ 3-4 წელში ყველა სხვა სახელმწიფოს გაუსწრო ტექნიკისა და სამხედრო ტაქტიკის მხრივ. ამ უპირატესობამ მისცა მას ე. წ. „ელვისებური" გამარჯვებები. მაგრამ, ომის განმავლობაში მოწინააღმდეგეებმა შეისწავლეს გერმანიისაგან ომის წარმოების ახალი მეთოდები, გადაიღეს და ზოგიერთ დარგებში გააუმჯობესეს კიდეც ტექნიკური საშუალებები, დააგროვეს უზარმაზარი რაოდენობით იარაღი და საჭურველი, რამაც მათ მისცა ზოგიერთი მატერიალური უპირატესობა ფრონტებზე. გერმანია თავის საბოლოო სტრატეგიას უთუოდ ამყარებდა უმთავრესად თავის წყალქვეშა ნავებზე და ტექნიკურ უპირატესობაზე, რომელმაც ომის პირველ პერიოდში მართლაც დიდი ზიანი მიაყენა მტერს. ინგლის-ამერიკელებმა დაჰკარგეს 18 მილიონი ტონა წყალწყვის, ანუ 3.000 სატრანსპორტო ხომალდი. ეს იარაღი აძლევდა გერმანიას სრულ თავისუფლებას აღმოსავლეთის ფრონტზე და აგრეთვე აფრიკაში. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ გამოგონებულმა ახალმა საშუალებამ გერმანია დააყენა მეორე ფრონტის საშიშროების წინაშე და აფრიკის ლაშქრობაც საფრთხეში ჩავარდა. ამ დროიდან იწყება სწორეთ საბჭოთა რუსეთის ჯარების ამოძრავებაც. დროთა განმავლობაში გერმანიის მოწინააღმდეგეებმა შეინარჩუნეს ტექნიკური და მატერიალური უპირატესობა.

რა გზას უნდა დასდგომოდა გერმანია? რა ზომებისთვის უნდა მიემართა მას, რომ არამარტო აღედგინა დარღვეული წონასწორობა, არამედ გაესწრო კიდეც თავისი მტრებისათვის. აშკარა გახდა, რომ ტექნიკას ტექნიკა უნდა დაპირისპირებოდა და გერმანიამაც ეს გზა აირჩია. ამისათვის საჭირო იყო საკმაო დრო ახალი იარაღების როგორც გამოგონების, ისე მათი საჭირო რაოდენობით დამზადებისათვის.

სწორეთ ამიტომ არის, რომ გერმანია იძულებული გახდა ალექსანდრიიდან და სტალინგრადიდან დაეხია უკან, ეწარმოებინა დახევის ტაქტიკა რაც შეიძლება ნელი ტემპით. დროის მოგება გერმანელებისათვის ნიშნავდა ომის ბედის შემობრუნებას. ამიტომ იყო, რომ გერმანული უმაღლესი სარდლობა ასე დარბაისლურად და მშვიდად აცხადებდა: დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს, ყოველ დღეს გერმანიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მიუხედავად მოწინააღმდეგის უპირატესობისა ტექნიკით, სამხედრო მასალებითა და ცოცხალი ძალით, გერმანიამ შესძლო არ დაეშვა მტერი თავის საზღვრებამდე, მან მოიგო დრო, რომელიც საჭირო იყო მისთვის. გერმანიამ დაასწრო მტრებს, გამოიგონა და დაამზადა ახალი იარაღები, რომლებიც თვით მოწინააღმდეგეთა სამხედრო სპეციალისტების აზრით მთელ რევოლუციას მოახდენს სამხედრო ხელოვნებაში. ამასვე ამტკიცებენ ცნობილი სამხედრო სპეციალისტები.

პირველი ამგვარი იარაღი „V 1", უკვე იძლევა ამის ნიშნებს. იმპერიის მინისტრმა დოქტორმა გებელსმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ „მფრინავ ბომბებს" მოჰყვება უფრო საშინელი მეორე და მესამე იარაღიო, რომელთა შედარებაც კი არ შეიძლება „V 1"-თან. იგივე გაიმეორა გერმანული გაზეთის „დას რაიხის" ერთერთმა უნიჭიერესმა თანამშრომელმა შვარც ვან ბერკმა. გებელსი ამბობს, რომ ერთერთი ახალი იარაღის დათვალიერების დროს მისმა გულმა აღფრთოვანებისაგან არათუ აჩქარებით დაიწყო ძგერა, არამედ, განცვიფრების გამო, ერთ წამს შეჩერდაო. მას ჟრუანტელმა დაუარა მთელს ტანში იმის მოგონებით, თუ რა საშინელებას მიაყენებს ეს იარაღი საცოდავ ინგლისელ ხალხს, რომლის დასჯაც ძალაუნებურად უხდებათ გერმანელებს.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ახლო მომავალში მოხდება სამხედრო მდგომარეობის ძირფესვიანად შეცვლა. მრავალი მოსაზრება გვაფიქრებინებს ამას და უმთავრესად კი გერმანელი ხალხის არაჩვეულებრივი გენიალობა ახალ გამოგონებათა სფეროში. იმავე მწერლის შვარც ვან ბერკის სიტყვით, დღევანდელი ომის წარმოებისათვის საჭიროა უმთავრესად ორი ელემენტი: ტექნიკა და მებრძოლის მორალი. მორალის მხრივ გერმანიის მტრებიც ვერ უარჰყოფენ, რომ გერმანელი მებრძოლი უაღრესად მაღალ დონეზე სდგას. ტექნიკის მხრივ კი, მართალია ერთხანს მტრებმა გაუსწრეს გერმანიას, მაგრამ ეხლა ყველასათვის ნათელია, რომ იგი ძირითად გარდატეხას ახდენს, რაც სამხედრო მოქმედებათა მსვლელობას სულ სხვა სახეს მისცემს.

თანამედროვე ომმა „კოსმიური" ხასიათი მიიღო და ასე ადვილად არ დამთავრდება. მოწინააღმდეგეთა ორივე ბანაკი გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადება. ომის ამ მომენტში ტერიტორიის ამათუიმ ნაწილის დაკარგვას მნიშვნელობა აღარა აქვს. მთავარია გადამწყვეტი ბრძოლის მოგება. ერთხელ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და ეხლა გვსურს იგივე გავიმეოროთ, რომ გერმანიის სტრატეგია ეყრდნობა უდიდესი სამხედრო ფილოსოფოსის კლაუზევიცის ძირითად მოსაზრებას, რომელიც მოითხოვს სარდლისაგან გადამწყვეტი ბრძოლის მიცემას საკუთარი ქვეყნის საზღვრებთან ახლოს. ჩვენ გვჯერა, რომ ეს გადამწყვეტი ბრძოლა მოხდება და გერმანია ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვა. ეს დრო ახლოვდება.

## დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტა თურქეთსა და გერმანიას შორის

2 აგვისტოს თურქეთის მთავრობამ აცნობა ეროვნულ კრებას თავისი გადაწყვეტილება გერმანიასთან სამეურნეო და დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. თურქეთის სახალხო პარტიის პარლამენტარული ფრაქციის დახურულ კრებაზე ცხარე კამათის შემდეგ, თურქეთის ეროვნულმა კრებამ მოიწონა მთავრობის გადაწყვეტილება. ამრიგად, გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით, თურქეთმა უღალატა გერმანიასთან თავისი მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის ტრადიციულ პოლიტიკას. მიუხედავად გერმანიის გაფრთხილებებისა, თურქეთის მთავრობა მოექცა ინგლისის, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ზეგავლენის ქვეშ და დაადგა ისეთ გზას, რომელმაც იგი მიიყვანა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვამდე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსმა აცნობა თურქეთის საქმეთა რწმუნებულს, რომ მისი მისია გერმანიაში დამთავრებულია და რომ ამის გამო მას ევალება დასტოვოს გერმანიის ტერიტორია.



გერმანელთა ერთერთი ქვეითი დივიზიის ნაწილები შეტევის დროს.



გერმანელი გრენადერი იტალიის ფრონტზე.

## განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

### კვირეული მიმოხილვა

გერმანიის უმაღლესი სარდლობის 9 აგვისტოს ცნობით, გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს ქ. ლე-მანის არეში. რამოდენიმე დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ მტერმა შესძლო ქ. ლე-მანში შეჭრა.

ბრეტანში გერმანულმა ჯარმა უკუაგდო ამერიკული ნაწილების იერიშები ქ. ლორიანისა და ბრესტის მიმართულებით.

აგვისტოს პირველი კვირის განმავლობაში საფრანგეთში მოკლულ იქნა 1.000-მდე ტერორისტი.

ლონდონზე „V 1"-ის გამანადგურებელი მოქმედება გრძელდება.

იტალიაში მტერი აწარმოებს უშედეგო შემოტევას ფლორენციის სამხრეთ-აღმოსავლეთით და არეცოს ჩრდილოეთით.

ტერორისტებთან ბრძოლა ძლიერდება იტალიის ზურგშიც. აგვისტოს მხოლოდ პირველი 5 დღის განმავლობაში აქ მოკლულ იქნა 1.212 ტერორისტი.

აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიამ გააძლიერა თავისი ძალები, რის შედეგადაც ვარშავასთან მოსული მტერი უკუგდებულია. უკანვე იქნა დაბრუნებული ქალაქები მარეკი და რაძიმინი. ვარშავის ახლოს განადგურებულია საბჭოთა ერთი სატანკო კორპუსი.

მტრის ძლიერი შემოტევები ქ. ბარანოვის არეში უკუგდებულ იქნა. ქ. ვარკას არეში გერმანული ძალები წარმატებით აწარმოებენ კონტრშეტევებს. ბელოსტოკის სამხრეთ-დასავლეთით მტერი დიდი ძალებით აწარმოებს შემოტევას.

მტრის იერიშები მემელის (ნემანის) ჩრდილოეთით განადგურებულია. რაზაინენთან შემოჭრილი მტრის წინსვლა შეჩერებულია.

ლატვიის ფრონტზე მოწინააღმდეგის იერიშები მძაფრი ბრძოლებით მოგერიებულ იქნა.

ინგლის-ამერიკელთა ტერორისტული თავდასხმები გერმანიის ქალაქებზე გრძელდება. ამ დღეებში განსაკუთრებით დააზიანეს ქალაქები ჰამბურგი, ბერლინი და კელნი.

## მარშალი მანერჰაიმი — ფინეთის პრეზიდენტი

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რისტო რიტიმ მთავრობას წერილობით აცნობა, რომ ამ ძნელ ხანაში უმაღლესი აღმასრულებელი ძალაუფლების ერთი კაცის ხელში კონცენტრაციის ინტერესების გამო, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ადმინისტრირების დარგში, მან გადასწყვიტა თავი გაინთავისუფლოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან. ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ოთხწლიანი მუშაობის შედეგად მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად შეირყა.

მინისტრ-პრეზიდენტმა ლინკომისმა, რომელმაც პარლამენტის წინაშე წაიკითხა რისტო რიტის წერილი, განაცხადა, რომ ფინეთის მარშალმა, ბარონმა ფონ მანერჰაიმმა მთავრობის წინადადების შემდეგ თანხმობა გამოაცხადა ფინეთის სახელმწიფო პრეზიდენტის თანამდებობის მიღებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოხალისეთა ერთი ჟურნალის შესახებ

## „ქართული ლეგიონის ცნობის ფურცელი“

უკვე რამოდენიმე ხანია, რაც ქართულ ლეგიონში დაარსდა ადგილობრივი მოხალისეებისათვის პატარა ფორმატის ჟურნალი „ქართული ლეგიონის ცნობის ფურცელი“. ერთი შეხედვით, ჟურნალი მაინცდამაინც ვერ ახდენს დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას, დაბეჭდილია ჰექტოგრაფიული წესით და ტექნიკურადაც სუსტია. მაგრამ ეს გარემოება, რომელიც სტამბის უქონლობისა და სხვა მრავალი ხელისშემშლელი მიზეზებით არის გამოწვეული, ოდნავადაც ვერ ჩრდილავს ჟურნალის მთავარ ღირსებას — მის აქტუალურ ხასიათს, მასალების მრავალფეროვნებასა და შინაარსის სიმდიდრეს. განსაკუთრებით საყურადღებოა „ცნობის ფურცლის“ საკონკურსო ნომერი. როგორც ვიცით, № დივიზიამ, რომელშიც შედის ქართული ლეგიონიც, მოაწყო ნაციონალური ლეგიონების რედაქციებს შორის კონკურსი მოხალისეთა ადგილობრივი ჟურნალების უკეთ გამოშვებისათვის. ქართული ლეგიონის „ცნობის ფურცლის“ სარედაქციო კოლეგიამ, როგორც ქართული ჟურნალისტიკის ბრწყინვალე ტრადიციებს შეჰფერის, მოგვცა ყოველმხრივ სრულყოფილი საკონკურსო ნომერი, რამაც დამსახურებული მოწონება ჰპოვა ლეგიონის მოხალისეთა შორის.

აღნიშნული ნომრის მასალები საინტერესოა არამარტო ქართული ლეგიონის ფარგლებში შემავალ ათასეულთა მოხალისეებისათვის, არამედ ყველა იმ მრავალრიცხოვან ქართველ მებრძოლთათვისაც, რომლებიც სხვა ნაწილებთან იმყოფებიან. ვხელმძღვანელობთ რა ამ მოსაზრებით, გვსურს მივაწოდოთ ჩვენს მკითხველს „ცნობის ფურცლის“ საკონკურსო ნომერში მოთავსებული ზოგიერთი საყურადღებო მასალა.

ჟურნალის პირველი განყოფილების სათაურია:

### „როგორ იბრძვიან ჩვენი ძმები ნორმანდიაში

გაზეთ „სოლდატ ამ ატლანტიკში“ მთელ მე-4 გვერდზე დახატულია სამი ეპიზოდი ქართველი მოხალისეების ცხოვრებიდან. ერთ სურათს მიწერილი აქვს: „ათასეულის მეთაური ურიგებს დაჯილდოებულ ქართველ მებრძოლებს ორდენებს“, ხოლო მეორეს: „მებრძოლი ქართველები, რომლებიც საფრანგეთში იმყოფებიან, აღფრთოვანებით ისმენენ მათივე ამხანაგების მშობლიურ სიმღერებს.

მესამე სურათზე მოცემულია ქართული ნაწილი წყობილებაში და მათი ცხოვრება შემდეგი სიტყვებით არის განმარტებული: „საქართველოს განთავისუფლების დღესასწაული ბოლშევიკების მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლის წინა დღეებში. როდესაც ქართველი მოხალისეები საქართველოს განთავისუფლების დღეს, 26 მაისს, ზეიმობდნენ, მაშინ ეს ნაწილი უკვე ნორმანდიაში იდგა და ბოლშევიზმის მოკავშირეების — ინგლის-ამერიკელების წინააღმდეგ ემზადებოდა. დღეს უკვე ეს ნაწილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული და მან გადახდილ ბრძოლებში უკვე ისახელა თავი მამაცობით. 26 მაისის თარიღი საქართველოს ისტორიაში სდგას, როგორც გამმიჯნავი თარიღი. ამ დღეს 26 წლის წინათ საქართველო გერმანიის არმიის დახმარებით გამოგლეჯილ იქნა რუსეთის ბატონობიდან და აღიარებული დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. თავისუფლების მოყვარე ქართველ ერს არ დავიწყებია ეს თარიღი და მის შემდეგაც, როცა ის 1921 წელს საბჭოების უღელქვეშ მოექცა, შემდეგი სისხლიანი ეპოქა საქართველოში 1924 წლის მოსკოვის წითელი ჯალათების ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებაში გამოიხატა. მაგრამ აჯანყებული ერი სისხლის მორევში აცურავეს, მისი საუკეთესო შვილები ციმბირში გარეკეს. ამ დღიდან საქართველო ისევდაისევ თავისუფლების მოპოვებაზე ფიქრობს და სჯერა, რომ ეს დღე დადგება.

ქართულმა ნაწილებმა მედგრად იომეს აღმოსავლეთში ბოლშევიზმის წინააღმდეგ გერმანიის მხარეზე: და ისინი დღესაც გერმანელებთან მხარდამხარ იბრძვიან დასავლეთში მათი ძველი მოსისხლე მტრის, ბოლშევიზმის მოკავშირეების წინააღმდეგ“.

### „ქართველ მოხალისეთა ვაჟკაცობა

ფრანგული გაზეთი „პარი სუარი“ აღნიშნავს, რომ 6 ივნისს გადმოსხმულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯუღაშვილის თანამემამულე ქართველმა მოხალისეებმა განსაკუთრებული ვაჟკაცობა გამოიჩინეს. ისინი სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ალყაშემორტყმული პუნქტებიდან. გერმანულმა სარდლობამ დიდი ქებით აღნიშნა ქართველთა ასეთი გმირობა“.

### „ბრძოლის სურათები და ჯარისკაცთა წერილები აღმოსავლეთის ფრონტიდან

#### ერთი ბრძოლა

ჩვენი ოცეული იკავებს ახალ საბრძოლო უბანს სოფ. №-ში. დღის 12 საათი იყო, დასახლებულ სოფელში რომ შევედით. ვერც კი მოვასწარით განლაგება, რომ ბოლშევიკების ორი ტანკი — „I-34“ და ტანკეტი 16 მეავტომატეებით ჩვენს ოცეულში შემოიჭრნენ.

მოულოდნელი თავდასხმისაგან მტერი დიდ შედეგს მოელოდა, მაგრამ ის ანგარიშში მოტყუვდა: არ დავიბენით, სახელდახელო ადგილებში სწრაფად განვლაგდით და გრიგალისებური ცეცხლი მივაგებეთ მას. მტრის ტანკისტები დაიბნენ, ხან აქეთ აწყდებოდნენ, ხან იქით. მათი ცეცხლი სრულიად უგეგმო იყო. ასევე დაბნევით ისროდნენ მეავტომატეებიც. დაჰკარგა რა თექვსმეტივე მებრძოლი, მტრის ორი ტანკი უკან გაბრუნდა. ჩვენს მხრივ დანაკლისს ადგილი არ ჰქონია. გამარჯვებული მებრძოლები, ისვენებდნენ რა სანგრებში, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ: რა ჩქარა გავიცანით წითელი ბატონებიო“.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე საინტერესო პირადი წერილები აღმოსავლეთის ფრონტიდან, რომლებიც მიიღეს ქართული ლეგიონის მოხალისეებმა მეგობრებისაგან — აი, ორიოდე მათგანი.

მოხ. კ. გ—ლია თავის ძველ ნაცნობ მ-ს შემდეგს სწერს:

„გისურვებ ჯანმრთელ სიცოცხლესა და ბედნიერად დაბრუნებას საკუთარ ოჯახში. ალბათ გაინტერესებს ჩემი ამბავი: ქართველების ის ჯგუფი, — თქვენგან რომ წამოვედით ზამთარში, მოვხვდით ერთერთ გერმანულ დივიზიაში. ეს დივიზია მაშინ იდგა ლამანშზე. სხვათაშორის, წამოსვლისას მინდოდა გამოგმშვიდობებოდი, მაგრამ ვერ გნახე და თანაც მეჩქარებოდა. 27 მარტს ლამანშიდან ჩვენი დივიზია მივიდა აღმოსავლეთის ფრონტზე. მიუხედავად სასტიკი ყინვისა და ქარბუქისა, იმავე დღეს გადავედით შეტევაზე და სამი დღის განმავლობაში მტერი განვდევნეთ 50 კილომეტრით ლ-ვის აღმოსავლეთით. ამის შემდეგ დავიკავეთ თავდაცვა. რუსების მხარეზე ძალიან ცუდი პირობებია; რაღა დაგიმალო, — ჩვენს რიგებში ერია ერთი-ორი მოხალისე, რომელთაც იქით ეჭირათ თვალი, მაგრამ გაიგეს რა წითლების აუტანელი მდგომარეობა, კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ სინამდვილეში. ისინი მერე თავგანწირვით იბრძოდნენ. ბევრმა მათგანმა მამაცობისათვის ჯილდოც კი მიიღო“.

მოხ. რ-ძე ერთერთ ამხანაგს სწერს:

„... რაც იქ ხდება, ნუღარ მკითხავ. ერთ თვეს ვიყავი შვებულებაში. ვნახე გერმანია. რასაც იქ მოქალაქეები სჭამენ, ჩვენში მას ომის წინაც ვერ სჭამდნენ. ყველაფერი წიგნაკებზეა და რაც გეკუთვნის, არ გეკარგება...“

„ცნობის ფურცლის“ ამ ნომერში საინტერესოდ არის გაშუქებული ლეგიონის ამბებიც. აი, ერთერთი მათგანი:

„ამ დღეებში ლეგიონის მეშვეობით, მოხალისეთა დივიზიის მეთაურს, გენერალ-მაიორ ჰენინგს, გაეგზავნა ქართველი ჯარისკაცის ხელით გაკეთებული სათუთუნე, როგორც ნიშანი სიყვარულისა და ერთგულებისა. მადლობის ნიშნად გენერლისაგან მიღებულია საპასუხო წერილი. აქვე ვათავსებთ ურთიერთმიმართვის ტექსტს:

მოხალისეთა ძირითადი დივიზიის მეთაურს, ბ-ნ გენერალ-მაიორ ჰენინგს. დივიზიის სადგომი, 17 ივნისი, 1944 წ.

დიდად პატივცემულო ბ-ნო გენერალო! გთხოვთ, თანდართული საჩუქარი მიიღოთ ქართული ლეგიონისაგან, როგორც თქვენდამი ერთგულების ნიშანი. შესრულების თვალსაზრისით ეს ნამუშევარი არ ამჟღავნებს ძველი ქართული კულტურის სიმაღლეს, რადგან ის გაკეთებულია მერიგე ჯარისკაცის მიერ. რომ ეს კულტურა მოხალისეთა გულებში კიდევ შემონახულა, ამას ამტკიცებს მათი გმირული ბრძოლები ჩრდილო-საფრანგეთში, რაც ჩვენს პრესაში რამდენმეჯერ იქნა მოხსენებული. გისურვებთ, ბ-ნო გენერალო, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. თქვენი მარად ერთგული კაპიტანი შარაბიძე, კაპიტანი ფრანკი.

გენერალმა ჰენინგმა შემდეგი პასუხი გამოუგზავნა:

ქართულ ლეგიონს კაპიტანი ფრანკის მეშვეობით. მოხალისეთა ძირითადი დივიზია, დივიზიის მეთაური. სადგომი, 22 ივნისი, 1944 წ.

მხატვრულ-ხელოსნური ნამუშევრის ჩუქებისათვის გულითად მადლობას ვუცხადებ ლეგიონს. მან მე ძალიან გამახარა. გთხოვთ, ამის შესახებ აცნობოთ ჯარისკაცებს, განსაკუთრებით სათუთუნის გამკეთებელს. გთხოვთ, აგრეთვე თანდართული პაპიროსები გადასცეთ მოხელეს ჩემგან მადლობის ნიშნად. ჰაილ ჰიტლერ. გენერალი ჰენინგი“.

ჟურნალში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნ. დადიანის წერილი, რომელიც მან პარიზიდან გამოუგზავნა ლეგიონის მეთაურის თანაშემწეს, კაპიტან შარაბიძეს ჯარისკაცებისადმი გადასაცემად.

### „ქართველი პატრიოტი ქალი

ნ. დადიანი ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე გამოექცა ბოლშევიკებს. მას სწამდა საქართველო და უყვარდა ქართველი ხალხი. ამჟამად იგი ღრმად მოხუცებულია და მიუხედავად ამისა, მთელი მონდომებით აწარმოებს დაჭრილ და ავადმყოფ ქართველ ჯარისკაცთა მოვლა-პატრონობის საქმეს პარიზში. იგი შემდეგს სწერს:

„ბებია ნინო გენაცვალოთ, ძვირფასო შვილებო! ამ უმაგალითო გაჭირვების ჟამს, რომელსაც განიცდის ქართველი ერი, ქართველი დედაკაცის აზრი და ფიქრი თქვენთან არის. ჩვენს ერს მრავალჯერ დადგომია მძიმე დღეები და ყოფილა თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში, მაგრამ ღვთისმშობელი, რომლის წილხვდომილი არის საქართველო, და მხნეობა ქართველი მამაკაცებისა და დედაკაცებისა, მუდამ იხსნიდა მას. ეხლაც კვლავ იმედებით შემოგყურებთ თქვენ, — ბურჯნო მომავალი საქართველოსი და გვწამს, რომ ესოდენი მსხვერპლი, თქვენს მიერ გაღებული, ნაყოფიერი იქნება ჩვენთვის. გაუმარჯოს იმ იარაღს, რომელიც თქვენ გიპყრიათ. გაუმარჯოს საქართველოს და გაგიმარჯოთ თქვენ, ძვირფასო შვილებო. უფალი იყოს თქვენი მფარველი, ყოჩაღად, ჩვენებურად! მუდამ, ყოველ წუთს, ყოველდღე და ყოველღამ თქვენთან იგულეთ ბებია ნინო“.

კითხვა-პასუხის განყოფილებაში მოთავსებულია ქართველი მოხალისისათვის მეტად საჭირო განმარტებანი ყოველდღიურ საკითხებზე. მოვიყვანთ რამდენსამე მათგანს.

### „ჩვენი პასუხი ჯარისკაცის შეკითხვებზე

შ ე კ ი თ ხ ვ ა: ჩვენი ნაწილის მიერ ერთი ბანდის განადგურების დროს ბანდიტს ჩამოვართვი დამბაჩა. ნაწილში დაბრუნებისას მიბრძანეს ამ დამბაჩის იარაღთა საწყობში ჩაბარება. მაქვს თუ არა მე, როგორც უმცროს მეთაურს, უფლება სათანადო განკარგულების შემდეგ ეს დამბაჩა ვატარო?

პ ა ს უ ხ ი: გერმანიის არმიაში არსებული კანონის თანახმად, ყოველგვარი ნივთი, რომელიც ჩამორთმეულია ბანდების განადგურებისას, წარმოადგენს გერმანიის არმიის საკუთრებას. მაშასადამე, ნადავლი დამბაჩა უნდა გადაეცეს ასეულის მეთაურს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია ჩააბაროს იგი ზემდგომ ინსტანციას.

იმ შემთხვევაში, თუ მოხალისემ ბანდებთან ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა და ვაჟკაცური მოქცევით მტერს დამბაჩა წაართვა, მაშინ ის მოახსენებს ამას ასეულის მეთაურს, რომელსაც, რასაკვირველია უფლება აქვს ხსენებული მოხალისე დააჯილდოვოს დამბაჩით ან სხვა რაიმე ნადავლი საქონლით სიმამაცის გამოჩენისათვის.

კ ი თ ხ ვ ა: შემიძლია თუ არა დავქორწინდე, სანამ ომი არ დამთავრებულა?

პ ა ს უ ხ ი: შეგიძლიათ. ყველა მოხალისისათვის, ისევე როგორც გერმანელებისათვის, ნებადართულია ცოლის შერთვა ომის დამთავრებამდე, ხოლო ქორწინებისათვის საჭიროა ნებართვა სათანადო სამხედრო ნაწილისაგან“.

საკონკურსო ნომრის მასალებს შორის უთუოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე მოხ. შ. აბაშისპირელის ისტორიული ნარკვევი, მოხ. რ. შკუბულიანის წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს ჟურნალის ჰუმორისტული განყოფილება. სანიმუშოდ მოვიყვანთ ორიოდე ანეგდოტს, რომელიც გემოვნებით შეურჩევიათ „ცნობის ფურცლის“ მესვეურთ:

### „ჯარისკაცის სიცილი

პატარა რეზოს, როცა მის უფროს ძმას ქორწილი ჰქონდა, მთელ ღამეს ეძინა. მეორე დილას რეზომ ბოდიშის მოხდით მიმართა ძმას: მართალია, წუხელ ვერ დაგესწარი ქორწილზე, მაგრამ მეორედ ცოლს რომ შეირთავ, აუცილებლად დაგესწრებიო.

— რომელი ქალები უფრო მოგწონთ, რომლებსაც ბევრი ლაპარაკი უყვართ, თუ სხვები.

— რომელი სხვები. მე სხვებს არ ვიცნობ!

— გოგო, თუ იმ შენს საქმროზე გული გაგიცივდა და უარს ეუბნები, მაშინ ნიშნობის ბეჭედი უკან დაუბრუნე.

— კი მაგრამ, ბეჭედზე მე გული როდი გამცივებია!

— ჩემო მეგობარო, არ მომცემ ერთ პაპიროსს?

— სიამოვნებით, მაგრამ თქვენ, მგონი პაპიროსის მოწევას თავი დაანებეთ!

— ეგ მართალია, მაგრამ არც ასე ერთბაშად: მე ჯერ საკუთარი პაპიროსის მოწევას დავანებე თავი“.

ასეთია მოკლედ ჟურნალის ეს ნომერი. როგორც ვხედავთ, თუ სურვილი, მონდომება და საქმისადმი სიყვარული არსებობს, ყოველგვარ პირობებში შეიძლება მოხალისეთათვის კარგი პატარა ჟურნალის გამოშვება.

გაზ. „საქართველოს“ რედაქცია, კმაყოფილი ჩვენი ლეგიონის ორგანოს წარმატებით, ქართველურ სალამს უძღვნის „ცნობის ფურცლის“ მესვეურთ და უსურვებს მომავალშიც ასეთივე სიყვარულით მოეპყრას ჩვენი მებრძოლი ახალგაზრდობის კულტურული მომსახურების საქმეს.

მოხ. პ. 3

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფიცის მიღება ქართველ მოხალისეთა ერთერთ ნაწილში.

# მაკ ნერი „V1"-ის შესახებ

უხილავი მიზნების აღმომჩენი ამერიკული აპარატის ერთერთმა გამომგონებელმა „ნიუ-იორკ ტაიმსში" გერმანულ მფრინავ ბომბებზე გამოსთქვა შემდეგი: „ეს გამოგონება ისევე რევოლუციურია, როგორც თვითმფრინავის გამოგონება. მომავალი მას ეკუთვნის. იგი ჰქმნის მეტად რთულ სამხედრო და პოლიტიკურ პრობლემებს. ერი, რომელსაც იგი აქვს, სხვა ერებზე მაღლა სდგას". „ნიუ-იორკ ტაიმსის" ასეთი ცნობა ამტკიცებს იმას, რომ ამერიკელები სახალხო დისკუსიას ახალი გერმანული იარაღის შესახებ არ ატარებენ ისეთი მკაცრი ცენზურის პირობებში, როგორც ინგლისელები. ყველა გაზეთი და ჟურნალი გვიხატავს ამის შესახებ ერთსადაიმავე სურათს, თუმცა ყველა თანახმაა იმაზე, რომ მოკავშირეთა „გამარჯვების" შემთხვევაში გერმანული მფრინავი ბომბი უნდა გახდეს ამერიკის საკუთრებად, ვინაიდან ის, ვინც ამ საბრძოლო იარაღს ჰფლობს, მსოფლიოს მომავალს დაეუფლებარ. ფართო მასებში შიში რომ არ გამოიწვიოს გერმანიის გამარჯვების შესაძლებლობამ ახალ იარაღთა სახეების საშუალებით, აღნიშნული თემა შუქდება ისე, როგორც მას ინგლისი აკეთებს, ე. ი. იმ აზრით, რომ მოკავშირეებმა უნდა მიაღწიონ ომის დამთავრებას მანამდე, სანამ გერმანია შესძლებდეს გამოსვლას კიდევ მეტი ეფექტური იარაღით. ამიტომ გასაგებია ის დაძაბულობა, რომელიც იგრძნობა ამერიკის არმიის რიგებში ნორმანდიის ფრონტზე.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის დავალება, რომელიც მისცეს ნორმანდიაში დაღუპულ ამერიკელ გენერალს მაკ ნერს. მაკ ნერი იყო ამერიკული ჯარის სათადარიგო ნაწილების მთავარსარდალი. მან დაამუშავა სპეციალურად ნორმანდიის ფრონტისათვის ახალი სისტემა, წინა ხაზზე მყოფი სამხედრო ნაწილების შევსების შესახებ. ამ სისტემით მაკ ნერი ფიქრობდა განევითარებინა „ამერიკული ელვისებური ომი". ამერიკაში ამ შევსების სისტემას ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ „ნიუ-იორკ ტაიმსში" სიდნეი შელეტი მას უწოდებს „საიდუმლო იარაღს გერმანიის წინააღმდეგ". ამერიკული ძალების მეტად დიდი დანაკარგების შედეგად საჭირო შეიქნა გენერალი პეტონის ინგლისში მყოფი ჯარიდან ცხრა დივიზიის, როგორც ახალი მარქაფის, ნორმანდიაში გადაყვანა, გენერალი ბრედლეის ჯარში.

*

### პიზის დახრილ კოშკს ყუმბარა დაუშინეს

ევროპული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლებს ეკუთვნის, ამჟამად საფრთხეში მყოფი, ქ. პიზის ცნობილი კოშკი იტალიაში. ამ განსაკუთრებულ ნაგებობას ინგლის-ამერიკულმა ბატარიებმა ყუმბარა დაუშინეს შემდეგი საბაბით, რომელიც, ამ რამოდენიმე დღის წინათ, გერმანული სამხედრო ხელისუფლების მიერ უარყოფილი იყო. ეს საბაბი მდგომარეობს იმაში, თითქოს აღნიშნული კოშკი გერმანელების მიერ გამოყენებულია სათვალთვალო წერტად. მონტე კასინოს შემთხვევის მსგავსად, ინგლის-ამერიკელები ამ კულტურული ძეგლის ფერფლად და ნანგრევებად გადაქცევაში არ მორცხვობენ.

გერმანიის სამხედრო ხელისუფლება კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პიზის კოშკზე არამცთუ გერმანელთა არავითარი სათვალთვალო წერტი არ იმყოფება, არამედ მის მახლობლად სამხედრო მნიშვნელობის ერთი უბრალო ნაგებობაც კი არ არის. კულტურის ამ შეუდარებელი ძეგლის მოსპობა მხოლოდდამხოლოდ ინგლის-ამერიკელებს უნდა დაბრალდეთ.

## ბრძოლები მარიანის კუნძულებზე

იაპონიის საიმპერატორო სადგომის ცნობით, კუნძულ გუამაზე გააფთრებულ ბრძოლებში, რომლებიც სწარმოებს უმთავრესად ქალაქების აგანისა და აგატის მახლობლად, იაპონიის ჯარებმა მტერს მეტად დიდი ზიანი მიაყენეს. ქალაქი აგანის ჩრდილოეთით, იაპონიის ჯარებმა ფრონტის ხაზის შემოკლების მიზნით, დაიკავეს ახალი პოზიციები. ბრძოლები კიდევ გრძელდება.

კუნძულ პინაიზე იაპონელებმა, მიუხედავად მტრის რიცხობრივი სიჭარბისა, აიცილეს ამერიკელების წინწამოწევა, რომლებიც გადმოსხდნენ კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში.

კუნძული რიტა იმყოფებოდა მტრის ავიაციის განუწყვეტელი თავდასხმებისა და საზღვაო არტილერიის ძლიერი ცეცხლის ქვეშ. დესანტის გადმოსხმის ყველა ცდა დღემდე აცილებულ იქნა.

*

### ფინეთის ფრონტებზე

ფინეთის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობა იუწყება: „კარელიის ყელზე, იგანტალას ტბის აღმოსავლეთით, ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს ერთერთი საბჭოთა ათასეულის იერიში. ზოგიერთ უბანზე მტერი გაფანტულ იქნა ჩვენი მძიმე არტილერიის ცეცხლის საშუალებით.

ფრონტის სამხრეთი უბნიდან არსებითს არაფერს იუწყებიან.

მტრის ცდებმა, გადაეჯგუფებინა ჯარები ლოიმოლანიარვისა და პოლოაიარვის რაიონებში, განიცადეს მარცხი ჩვენი ნაღმსატყორცნთა ბატარიების მტკიცე წინააღმდეგობით.

რუკაიარვის მიმართულებით ბრძოლები გრძელდება მტრის დანაყოფთან, რომელიც სცდილობს მდინარის გადმოლახვას.

*

### სერბიის მოხალისეთა კორპუსის წარმატება

სპეციალური გერმანული რაზმები სერბიის საზღვრების გასწვრივ, აღმოსავლეთი ბოსნიიდან მთაშავეთისა და ალბანეთის საზღვრებამდე, ბანდების შენაერთების წინააღმდეგ ენერგიულ დარტყმებს აწარმოებენ.

სამხრეთ სერბიაში სერბების მოხალისეთა კორპუსის შენაერთებს შესაძლებლობა მიეცათ აეძულებინათ კომუნისტების რაზმი მიეღო ბრძოლა, ვინაიდან მას გადაჭრილი ჰქონდა ალბანეთის საზღვრით უკანდახევის შესაძლებლობა. როგორც სჩანს, ბანდების ხელმძღვანელნი სერბიას დიდ ყურადღებას აქცევენ, სერბიაში კი ამავე დროს შეიქმნა მჭიდროდ შეკავშირებული ეროვნული ფრონტი გერმანულ ჯარებთან ერთად, რომელიც წარმატებით იბრძვის სერბიაში კომუნისტების შეჭრის წინააღმდეგ.



გერმანელი ჯარისკაცები აღმოსავლეთის ფრონტზე.

# ახლო წარსულიდან

## პირველი მსოფლიო ომის დროს მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" მოკლე ისტორია

გ. შაორისპირელი

ევროპისა და აზიის საზღვარზე მყოფი საქართველო მუდამ ევროპის მხარეზე იბრძოდა აღმოსავლეთს და საკუთარი მკერდით იცავდა თავის არსებობასა და კულტურას. ხანგრძლივმა და მჭიდრო კავშირმა რომთან და საბერძნეთთან, შემდეგ ქრისტიანობის მიღებამ, საქართველო საბოლოოდ დაუკავშირა ევროპას და მისი კულტურაც ევროპულს შეერწყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც თურქებმა კონსტანტინეპოლი დაიპყრეს, ევროპასა და საქართველოს შორის მთლიანი კავშირის აღდგენა ველარ მოხერხდა, თუმცა ამისთვის საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა საქართველო და დღესაც იბრძვის.

ბრძოლამ ევროპისათვის და ევროპის შემწეობით საქართველოსათვის განსაკუთრებული ნაყოფი გამოიღო მეოცე საუკუნეში. ამ 40 წლის წინათ ქართულმა ემიგრაციამ დაიწყო ევროპაში მოქმედება საქართველოს განთავისუფლებისა და საერთაშორისო ეროვნული უფლების მოპოვებისათვის. ცხრაასიანი წლებიდან ევროპაში მუშაობდა რამდენიმე პოლიტიკური ჯგუფი და ცალკეული ქართველი მამულიშვილი; მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში პეტრე სურგულაძის მიერ დაარსებული „სეპარატისტთა ჯგუფი", რომელიც ომის გამოცხადების შემდეგ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტად" ჩამოყალიბდა იმავე პ. სურგულაძის მეთაურობით. ამ კომიტეტმა საქართველოს განთავისუფლების საქმეში უთუოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მისი მოღვაწეობა ერთერთი ულამაზესი ფურცელია სამშობლოსათვის ბრძოლების ისტორიაში. კომიტეტის მუშაობის სრული აღწერა მთელ ტომებს მოითხოვს. ჩვენი მიზანია ამბების მოკლედ და სხარტად აღნუსხვა, რათა ქართველ მოხალისეებს წარმოდგენა ჰქონდეთ ძირითადი მომენტების შესახებ, რომელმაც 1914-1918 წლებში გერმანიასთან დაგვაკავშირა და დღესაც გვაკავშირებს.

ყველასათვის ცნობილია, რომ მაშინ გერმანელი ხალხის მეგობრული დახმარებისა და მხარისდაჭერით აღვიდგინეთ დიდიხნით დაკარგული დამოუკიდებლობა. ეს ერთერთი ყველაზე დიადი მოვლენა ქართველი ერის ისტორიაში დაკავშირებულია ჩვენი უფროსი თაობის თავგამოდებულ ბრძოლასა და მუშაობასთან როგორც სამშობლოში, ისე საზღვარგარეთ.

ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დაწყებამდე არსებობდა მომავალი „დამოუკიდებლობის კომიტეტის" ჩანასახი თვით საქართველოში. 1908 წელს პეტრე სურგულაძე, მიხ. წერეთელი და სხვები აარსებენ საქართველოს დამოუკიდებლობის არალეგალურ ჯგუფს, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ორგანო „ერი" და რომელიც იმდროინდელი მკაცრი ცენზურის გამო ხშირად იცვლიდა სახელწოდებას. 1910 წელს რუსეთის იმპერიაში რეაქცია უმაღლეს წერტილს აღწევს. განსაკუთრებით დევნას განიცდიდნენ ქართველი ნაციონალისტები, რომელთა უდიდესი ნაწილი იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და უცხოეთს გახიზნულიყო. პეტრე სურგულაძე და მიხ. წერეთელიც სხვებთან ერთად სტოვებენ საქართველოს. პირველი ჟენევაში მიემგზავრება, ხოლო მეორე — ლონდონში. 1910 წელს პ. სურგულაძე ქართველ ნაციონალისტებთან ერთად ჟენევაში აარსებს „სეპარატისტების ჯგუფს". ჯგუფის კომიტეტის წევრები იყვნენ: თვით პ. სურგულაძე (თავმჯდომარე), მ. წერეთელი, ძმები ლ. და გ. კერესელიძეები, ვასილ ციცქიშვილი, ნესტორ მაღალაშვილი და მიხეილ იმხნელი. „სეპარატისტთა კომიტეტის" თავმჯდომარე პ. სურგულაძე ცნობილი პიროვნება იყო: ენერგიით აღსავსე, გამჭრიახი გონების მქონე და შორსმჭვრეტელი. მას ღრმა ინსტინქტით ჰქონდა განცდილი საქართველოს მთელი წარსული, აწმყო ვითარება და მომავალსაც წინასწარმეტყველურად ავლებდა თვალს, ამიტომ იგი მეგობრებს ღირსეულად ჰყავდათ ამორჩეული მეთაურად და ნდობით მიჰყვებოდნენ ბოლომდე.

„საქართველოს სეპარატიული ჯგუფის" დაარსების დიდი მნიშვნელობის შესახებ, აი, რას მოგვითხრობს თავის მოგონებებში მისი ერთერთი დამაარსებელთაგანი და ძველი მებრძოლი ლ. კერესელიძე: „უნდა აღვნიშნოთ სეპარატისტთა ჯგუფის დაარსება იმ დროს დიდი და უმაღლესი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა. 1832 წლის შეთქმულების რუსთა მიერ ჩაკვლის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობაზე რამდენიმე მგოსანი თუ ოცნებობდა, თორემ პრაქტიკულად იგი აღარ დასმულა. ამიტომ სეპარატისტთა ჯგუფის დაარსება ყუმბარასავით მოევლინა ქართულ საზოგადოებას: გადაგვარებულნი აღაშფოთა, ხოლო მამულიშვილთ კი გული იმედებითა და სიხარულით აღუვსო".

კომიტეტმა 1910 წელს გამოსცა საკუთარი ორგანო: „თავისუფალი საქართველო", რომლის პირველი ნომერი ნამდვილი ბრძოლის საყვირი იყო, გამომხატველი თვით ამ ჯგუფისა და მის მებრძოლთა პოლიტიკური იდეალისა. სეპარატისტები მოითხოვდნენ რუსეთისაგან სრულ გამოყოფას და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას. 1914 წლამდე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ამ ჯგუფმა და მისმა ორგანომ მოამზადეს ქართული საზოგადოებრივი აზრი მომავალ დიდ საქმეთა გასაგებად და ომში სამოქმედოდ. ხიტყვიერი პროპაგანდის გარდა, რომელსაც საკმაო სიძლიერით აწარმოებდნენ სეპარატისტები, ჩატარებულ იქნა აგრეთვე საგრძნობი წინასწარი მუშაობა მოსალოდნელი დიდი ამბების შესახვედრად, რის მოლოდინი, იმედი და ალღო მათ მუდამ ჰქონდათ. შემუშავებული იყო სამოქმედო გეგმა, ამ გეგმის მიხედვით სწარმოებდა პრაქტიკული საქმიანობა.

იმხანად გერმანიასა და ოსმალეთში დამოუკიდებლად მუშაობდნენ ზოგიერთი ქართველები, რომლებიც სეპარატისტებთან დაკავშირებული არ იყვნენ, მაგრამ მათ კარგად იცოდნენ ზემოხსენებული ჯგუფის არსებობა და საჭირო მომენტს უცდიდნენ, რათა შეერთებოდნენ მას. მაგალითად, გერმანიაში ომის წინ სწავლობდნენ ქართველი ახალგაზრდები — გიორგი მაჩაბელი და მიხეილ წერეთელი. ეს პირნი კომიტეტის მუშაობაში შემდეგ დიდ როლს ასრულებდნენ, ამიტომ შევეცდებით მათს დახასიათებას. გ. მაჩაბლის შესახებ თვით მიხ. წერეთელი გვაწვდის საინტერესო ცნობას: „გიორგი ომის წინ ბერლინში სწავლობდა. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი გერმანიაში დარჩა. ნიჭითა და ჭკუით აღსავსემ და დიდი ინსტინქტის კაცმა, მან იცოდა, რომ ომი უნდა მომხდარიყო, რომ გერმანია რუსეთთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდოდა, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხიც მაშინ დადგებოდა და ჩვენი უბედური, დამონებული ქვეყანა განთავისუფლდებოდა. გიორგის ჰქონდა დიდი შინაგანი კულტურა ძველი ქართველი არისტოკრატისა და განათლებული ევროპელისა. მომხიბლავი ხასიათი და ამასთანავე ნივთიერი შეძლებაც, და მის დიდ ინსტინქტთან ერთად, ესეც გზას უხსნიდა გერმანიის საზოგადოების ყველა წრეებში. მას ომის წინათაც ჰქონდა საქართველოს საკითხზე ფრთხილი მოლაპარაკება დიდ პასუხისმგებელ პირებთან". მეორე ქართველი, მიხ. წერეთელი, უკვე გამოცდილი და ცნობილი მგზნებარე პოლიტიკური მოღვაწე გ. დეკანოზიშვილის ჯგუფიდან, აგრეთვე დიდ მუშაობას ეწეოდა ომის წინ.

„იმ დროს, როდესაც შავი ფერადებით ხასიათდებოდა ჩვენი ცხოვრება, როდესაც ერი უარს

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ყველა მცხოვრები გაიქცა. ქოხის ნანგრევებში ეს ლაწირაკი აღმოვაჩინე...
— ოჰო, დივერსანტი და ჯაშუში! დაჰკითხეთ და ჩამოჰკიდეთ!

# პროპაგანდისტთა კურსების გამოშვება

**ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან**

რამოდენიმე ხნის წინათ აღმოსავლეთის ფრონტთან ახლოს მდებარე ერთერთ ქალაქში მოეწყო ქართველ პროპაგანდისტთა კურსები. კურსებზე მსმენელებად შერჩეული იყვნენ მომზადებული და ნიჭიერი მოხალისეები, უმთავრესად აღმოსავლეთის ფრონტზე მებრძოლი ქართული ნაწილებიდან. ისინი დიდი მონდომებითა და ხალისით მეცადინეობდნენ კურსებზე. მოხალისეებს სავსებით შეგნებული აქვთ თავისი ბრძოლის მიზნები.

კურსებზე ლექტორებად მოწვეული იყვნენ დოქტ. ალ. ასათიანი და დოქტ. ვ. ნოზაძე, რომელთაც თავიანთი ლექციები ჩაატარეს საინტერესოდ და მოხალისეთათვის გასაგები ენით. საუბრების მთავარი თემები იყო საქართველოს ისტორია და თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური საკითხები.

ამ დღეებში მოხდა კურსების მსმენელთა გამოშვება. მსმენელთაგან ბევრმა მიიღო მაღალი შეფასება განვლილი მასალის შეთვისების მხრივ. კურსდამთავრებული მოხალისეები უკვე გაიგზავნენ თავიანთ ნაწილებში სამუშაოდ.

მოხ. დ. ქ.

# ქართველ მოხალისეთა წვლილი

თვითეული ქართველი მოხალისე, რომელიც შეუპოვრად იბრძვის უძლეველი გერმანელი ჯარისკაცის გვერდით, დამსახურებულად სარგებლობს გერმანული უმაღლესი სარდლობის განსაკუთრებული მზრუნველობით.

დასასვენებელი და სამკურნალო დაწესებულებანი, რომლებიც სპეციალურად გახსნილია დაჭრილ და ავადმყოფ ქართველ მოხალისეთათვის, ამის ბრწყინვალე დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს.

დაჭრილ და ავადმყოფ მოხალისეთათვის ზრუნვასა და დახმარებას არც ქართველი თანამემამულეები ივიწყებენ. ყველგან, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, — ფრონტზე იარაღით ხელში თუ ზურგში მეცადინეობის დროს, მათი ზრუნვის საგანს ყოველთვის წარმოადგენს მეგობრისადმი დახმარება.

ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტის დამახასიათებელი გრძნობით ეკიდებიან ისინი ამ უაღრესად მამულიშვილურ საქმეს. თვითეულ ქართველ მოხალისეს სიამოვნებით შეაქვს თავისი წვლილი თანამოძმეთა დასახმარებლად.

ქართველ მოხალისეთა № ათასეულმა ამ დღეებში გერმანულ წითელ ჯვარსა და საზამთრო დახმარებას გადასცა ათასეულის მებრძოლთა და ოფიცერთა შორის შეგროვილი 5.613,30 მარკა. მათი ასეთი მოქმედება საყოველთაო მოწონებისა და ყურადღების ღირსია.

მოხ. ბ. ვ.

# საყვარელ მეუღლეს

ლეიტენანტი მილკე

ლეიტენანტი მილკე ქართულ ლეგიონში მუშაობს. ამ ლექსით, როგორც მან თვითონ განაცხადა, სურდა გამოეხატა გერმანელი ჯარისკაცის მადლობის გრძნობა იმ მოხალისეებისადმი, რომლებმაც თავი ისახელეს ნორმანდიის მძიმე ბრძოლებში. ლექსში კარგად სჩანს აგრეთვე ის, თუ როგორ გრძნობს თავს და რას ფიქრობს ყოველი გერმანელი ჯარისკაცი ქართულ ლეგიონში. ლეიტენანტმა მილკემ ჩვენს ნიჭიერ პოეტს ვ. ურდოელს სთხოვა ეთარგმნა ეს ლექსი ქართულად, რათა იგი ხელმისაწვდომი ყოფილიყო ქართველი მოხალისისათვისაც. ვ. ურდოელმა მართლაც ჩინებულად შეასრულა ეს თხოვნა და რედაქციას მოაწოდა მშვენივრად გამართული თარგმანი, რასაც სიამოვნებით ვათავსებთ ჩვენს გაზეთში.

რედაქცია.

მიექანება დრო აჩქარებით,
ჩემი ფიქრები რბიან შენამდე, —
მოვილტვი... მშობელ კუთხის ქარები
სავალ ბილიკებს დამიფერავენ,
ყვავილები და ტყეთა შქერები
თვალ-წარბს გახსნიან, გადიფერავენ.

აქ უსამშობლო ცა გვახურია,
სძინავთ ღამეში მაშვრალ მებრძოლებს,
ცა ვარსკვლავებით ტანდახრულია,
და გუშაგები ჩუმად ეზოებს
ჩამოუვლიან, — მათაც სწყურიათ
ბოროტებას და ბნელეთს ებრძოდნენ.

ჩვენში ჯერკიდევ სუფევს სიმშვიდე,
ირგვლივ თბილი და წყნარი ღამეა,
მაგრამ თუ ხმლები აქაც იშიშვლებს,
თუ წამოვიდნენ ოკეანედან, —
ცეცხლში გავახვევთ, ვინც კაცთ სიმშვიდეს
დასაბამიდან ასე არღვევდა.

რომ ეს მძიმე და მგესლავი შხამი,
ეს საწამლავი მთელი ქვეყნისა,
კუნძულად მდგარი და მყრალი შლამი
არ ყოფილიყო დაბლა ზეცისა, —
რა სურნელებას მომფენდნენ მაშინ
ეს ყვავილები მინდორ-ველისა

სძინავთ მებრძოლებს გულდამშვიდებით,
მაგრამ იქ, მინდვრად ნორმანდიისა,
სადაც სიმშვიდის არეს სცილდებით,
გათელილია ტანი იისაც, —
მტრების დაუდგამთ გვამთა ზვინები
ჩვენს ამხანაგებს კავკასიიდან.

მათი მკერდიდან გადმოდის ოფლი,
მაგრამ ეს ოფლი არ არის თეთრი, —
წითელი სისხლი, ვით ცხელი ორთქლი
მოდის და ვარდის სიწითლეს ირთვის,
მათ დაევალათ აქ თქვენი ყოფნის
და სიხარულის დაცვა მძლე მკერდით.

ისინი მოკვდნენ, როგორც გმირები,
და გახდნენ ღირსი ამ დიდებისა,
ჩვენი შვილი და შვილიშვილები
მათ დაიფარეს საზარ მტრებისგან,
ქალებო, მოდით და ყვავილებით
მორთეთ საფლავი ამ გმირებისა!

მათი სისხლი ჩვენ გვიხმობს ბრძოლისკენ,
შურისძიების ცეცხლი ავარდა,
დაე, ათასჯერ მეტნი მოვიდნენ, —
ჩვენ გავუშუროთ ძმებთან, კანალთან,
აწ ვნახოთ მტერი რასაც მოიგებს
ბომბის წვიმის და ტყვიის კაკანთან!

ერთი პოეტიც, მძლე და ლამაზ სიტყვის კმევითა
ჩვენ მოგვიწოდებს (დავიწყებას როგორ ვაჩუქოთ!):
„რაც შენ მიიღე ანდერძად შენს წინაპრებიდან,
ის კვლავ სისხლით და ბრძოლით უნდა შეინარჩუნო“, —

თავისუფლება შენი დიდი წინაპრებისა,
თავისუფლება — რომ გვაჩუქა დიდმა მეუფემ,
თავისუფლება ჩვენი მიწის, ჩვენი მთებისა,
თავისუფლება სიყვარულის, ჩემო მეუღლევ.

გერმანულიდან სთარგმნა
ვ. ურდოელმა

*

## ქართველი მებრძოლები ნორმანდიაში

(გასაუბრება მეგობარ პოეტთან)

მოხ. მ. ჩ—ძე

გულში ჩამოწვა ცივი ზამთარი,
გარეთ ქარია და წვიმის თქეში;
ძმაო, ისეთი რამე მითხარი,
რომ არ ავტირდე წვიმიან დღეში!
რაო, გეწყინა? შენ მე მაბრალებ
გულაცრუებულ უიმედობას?
განა ჩემსავით შენც არ ავედრებ
უფალს ცოდვილი სულის შენდობას?!
დავჯდეთ და ერთად ქართულ სინიდისს
დღეს გავუსწოროთ ჩვენ ანგარიში.
ბასრ კლანჭებიდან მტერს ხომ გავუსხლტით
აღარ გვჭირია კრძალვა და შიში!
გრძნობის ჯებირი გადმოსკდებოდა,
ყველა რომ გვეთქვა, რაც შეგხვდა ავი,
მაგრამ ლექსიც ხომ გაფუჭდებოდა,
შიგ რომ გვეყარა სევდის ნამწვავი!

რუსთველის ენას არ ეკადრება,
არც ვინ მოელის მის თვლას მწერლიდან,
თუ დღეს რამდენი ნეშთი გროვდება
ომში დახოცილ ქართველებიდან!
ჩვენ მხოლოდ ერთი გავიზეპირეთ,
და იმ ერთს იქით ქვაც უთოვია:
ბრძოლით იხსენი, რომ არ დაჰკარგო
ის რაც წინაპრებს მოუპოვია!
გულში გამოდნა თეთრი ზამთარი,
გარეთ დარია და ბრწყინავს ეშხით;
სამშობლოვ, ჩვენ ვართ ყოვლად მართალი
და მტერს ლომივით იმიტომ ვებრძვით!
შავ მთას მკერდფიქალს ნისლი ახურავს,
იალბუზი სდგას თექამოსხმული;
მალე განახვებთ — უკან გარბოდეს
ჩვენზე მოსული და გადმოსხმული!

*

## ჩემი ქორწილი

მოხ. ამური

წუხელი ლამაზი მქონდა ქორწილი,
მეწვივნენ ცა-მიწის ქალნი და კაცები.
ასი წლის მოხუცი, ხე დაკორძილი
იყო ტოლუმბაშად და ვსვით გატაცებით.
ანგელოსებიდან მქონდა დეხტური,
ანგელოსებიც მეწვივნენ სტუმრებად.
ვსვით ოჯალეში და ალადასტური
ჩემი ბედ-იღბალის დადასტურებად.

თვით ნეფე ვიყავ... სუფრა მეფური
ბრწყინავდა ათასფერ ვარდებით მკობილი.
სუყველა აქ იყო მობრძანებული, —
ზეცის დიდებული და კეთილშობილი.
თვით ნეფე ვიყავი... და დედოფალი
არ ვიცი ვინ იყო... მადლობა უფალო!..
მე დაბადებიდან ვიყავი ობოლი, —
ეხლა დავქორწილდი უდედოფალოდ!

---

ამბობდა თავის თავზე, მიხაკო წერეთლის მგზნებარე წერილები საზღვარგარეთიდან იბეჭდება მაშინდელ პრესაში. ახალგაზრდობის დაკოდილი გულისათვის ეს წერილები უებარი წამალი იყო. იგი მოურიდებლად ამხელდა მტრის აგენტებს, ქართულ ქურქში გახვეულთ, რომელნიც ნებით თუ უნებლიეთ პანსლავიზმის ერთგულ დამქაშებად გამოდიოდნენ.

ერის სალი ნაწილი, უმთავრესად ახალი თაობა, რუსის მძაფრი რეაქციით დასუსხული, ხარბად ეტანება მის ნაწერებს, სადაც განათლებული პუბლიცისტი და შეუპოვარი მებრძოლი ერთი-მეორეს ეცილებოდა. მიხაკო გამოდის საუკეთესო თეორეტიკოსად ეროვნულ საკითხში, უბადლო პოლემისტად და მამხილებლად ერის ულირსი შვილებისა“, მოგვითხრობს ვასილ ციცქიშვილი. 1908 წელს იგი იმყოფებოდა სტამბოლში, ამ ხნის განმავლობაში დაუკავშირდა და გაიცნო იმ დროს დიდი გავლენისა და მდგომარეობის მქონე მაჰმადიანი ქართველები. ცნობილია, რომ თურქეთის დიდი სამხედრო და მმართველი წრეები შესდგებოდა უმთავრესად მაჰმადიანი ქართველებისაგან, რომელნიც სულითა და გულით ქართველობდნენ და შეეძლოთ „დედა-საქართველოსათვის“ ბევრი კარგი რამ გაეკეთებინათ. მიხ. წერეთელი ამათ შორის ამზადებს ნიადაგს, რასაც შემდეგ უნაყოფოდ არ ჩაუვლია. დიდი ომის წინ მ. წერეთელი იმყოფებოდა გერმანიაში და სწავლასთან ერთად პოლიტიკურ მუშაობასაც განაგრძობდა.

მესამე ქართველი, მელიტონ ქარცივაძე, ოსმალეთში მოქმედებდა. განათლებული, გამჭრიახი პოლიტიკოსი, თავდადებული მებრძოლი სამშობლოს თავისუფლებისათვის, მელიტონ ქარცივაძე, გრძნობდა, განსაკუთრებით ომის წინა ხანებში, რომ ოსმალეთი ომში ჩაებმებოდა გერმანიის მხარეზე რუსეთის წინააღმდეგ და საქართველოსთვისაც ხელსაყრელი დრო დადგებოდა. „კომიტეტისათვის აუცილებელი იყო ოსმალეთთან კეთილი განწყობილება და ნაყოფიერი მუშაობა. ეს მეტად ძნელი საქმე იყო. და აი, აქ მელიტონ ქარცივაძემ დიდი აქტიობა გამოიჩინა, ოსმალეთის ხასიათისა და პოლიტიკის ზედმიწევნითი ცოდნით კომიტეტს დაუფასებელი სამსახური გაუწია“, მოგვითხრობს გიორგი კერესელიძე.

როგორც დავინახეთ, ომის წინ საქართველოსთვის მუშაობდნენ როგორც დამოუკიდებელი პირები, აგრეთვე განსაკუთრებული ჯგუფი სეპარატისტებისა. ყველაფერი მზად იყო, რათა ახალ ამბებს მომზადებული შეხვედროდნენ. 1913 წელს გიორგი მაჩაბელი და მიხ. წერეთელი ჰაიდელბერგში ამუშავებენ განსაკუთრებულ მოხსენებას გერმანელთათვის წარსადგენად, რომელიც გ. მაჩაბელს უნდა გადაეცა განსაზღვრული პირებისათვის.

1914 წლის ზაფხულში ომი დაიწყო. გერმანია თავისი მოკავშირეებით შეეჯახა სახელმწიფოთა უზარმაზარ კოალიციას და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართა. მტრის ბანაკში იდგა რუსეთი. დიდიხნის მოლოდინი გამართლდა. საჭირო იყო დასახული მიზნის საქმედ და სინამდვილედ ქცევა. საქართველოს საკითხი სწორედ ერთსადაიმავე დროს წამოაყენეს ურთიერთის დამოუკიდებლად მელიტონ ქარცივაძემ ოსმალეთში, პეტრე სურგულაძემ და ლეო კერესელიძემ ჟენევაში — გერმანიის საკონსულოს საშუალებით, ხოლო გერმანიაში — გ. მაჩაბელმა და მიხ. წერეთელმა. დაიწყო გერმანულ სათანადო უწყებებთან მოლაპარაკებები, რამაც თვით გერმანელებზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. გ. მაჩაბელი და მიხ. წერეთელი ბერლინში პასუხისმგებელ პირებთან მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შემდეგ, გაემგზავრნენ ოსმალეთისაკენ, სადაც მათი გადაწყვეტილებით უნდა მომხდარიყო ყველა მებრძოლი ძალის გაერთიანება და ერთი სამოქმედო ორგანოს შექმნა. ჟენევაში მყოფ პ. სურგულაძეს უკვე დაწყებული ჰქონდა მოლაპარაკება გერმანელებთან და ოსმალეთის მთავრობასთანაც კავშირში იმყოფებოდა. გერმანიის წინადადებით „სეპარატისტების“ მიერ სტამბოლში დელეგატად გაგზავნილ იქნა ლ. კერესელიძე ოსმალეთისა და გერმანიის მთავრობებთან ხელშეკრულების დასადებად და პრაქტიკული თანამშრომლობის მოდუსის დასამუშავებლად. მოლაპარაკებაში გერმანელების მხრივ მონაწილეობას იღებდა გერმანიის ელჩი ოსმალეთში ბარონი ვანგენჰაიმი, ხოლო ოსმალეთის მხრივ — მთავარი შტაბის პოლკოვნიკი სულეიმან ასკერი ბეი და სტამბოლის პრეფექტი ისმაილ ჯამბულატ ბეი. გერმანულ-ქართული შეთანხმება მალე მოხდა. აღიარებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა. ოსმალეთთან მოლაპარაკებამ ექვს კვირას გასტანა, რადგან თურქეთის მთავრობასთან ბევრი რამ იყო გამოსარკვევი, უნდა გადაჭრილიყო მრავალი ძნელი საკითხი. ბოლოს მაინც დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალით ოსმალეთი სცნობდა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას იმ ტერიტორიის საზღვრებში, რომელიც ქართველმა დელეგატმა მოითხოვა. იგი უდრიდა იმ ტერიტორიაზე მეტს, რომლის ფარგლებშიც გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამის შემდეგ „სეპარატისტთა ჯგუფის“ მთელი შემადგენლობა ჩადის სტამბოლში, გარდა ვ. ციცქიშვილისა და მიხ. იმხნელისა, რომელნიც ერთი წლით ადრე, კომიტეტმა საგანგებო დავალებით საქართველოში გაგზავნა. აქედან კომიტეტი მიდის ტრაპეზუნდში, სადაც წევრად იღებს მელიტონ ქარცივაძეს. მალე სტამბოლიდან ჩამოვიდნენ აგრეთვე გ. მაჩაბელი და მიხ. წერეთელი. კომიტეტის საგანგებო კრება წევრად იღებს გ. მაჩაბელსაც. ტრაპეზუნდში ხდება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყველა ელემენტის გაერთიანება და ყალიბდება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, ცნობილი თავისი მოქმედებით მთელი დიდი ომის განმავლობაში. კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ პ. სურგულაძე იქნა დატოვებული, რომელიც ბოლომდე უძღოდა მას. ახალი კომიტეტი შესდგებოდა შემდეგი წევრებისაგან: პ. სურგულაძე, მ. წერეთელი, მ. ქარცივაძე, ლ. და გ. კერესელიძეები, ვ. ციცქიშვილი, გ. მაჩაბელი, მ. იმხნელი, ნ. მაღალაშვილი, პატრი შალვა ვარდიძე და ზია ბეგ აბაშიძე.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ შეუდგა მუშაობას. შრომის განაწილება მოხდა შემდეგნაირად: მ. წერეთელს, გ. მაჩაბელსა და გ. კერესელიძეს სამოქმედო ასპარეზი გერმანიაში უნდა გადაეტანათ, რისთვისაც ისინი გაგზავნილ იქნენ ბერლინში. მ. წერეთელი აწარმოებდა სიტყვიერ და წერილობით პროპაგანდას როგორც გერმანულ, ისე საერთოდ ევროპულ წრეებში. გ. მაჩაბელს უნდა დაემყარებინა საქართველოსთან კავშირი. გ. კერესელიძე დაინიშნა ქართველი ტყვეების ორგანოს „ქართული გაზეთის“ რედაქტორად. ლეო კერესელიძეს დაევალა ქართული ლეგიონის შედგენა, რომელიც სტამბოლში ოსმალეთ-გერმანიისა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების ერთერთი მუხლის ძალით, უნდა შექმნილიყო ოსმალეთის ტერიტორიაზე გერმანია-ოსმალეთის სამხედრო შტაბების დახმარებით და უნდა ებრძოლა გერმანელებისა და თურქების მხარეზე რუსების წინააღმდეგ. ომის დაწყების შემდეგ გერმანიის მხარეზე მოხვდა ნებაყოფლობით გადმოსული მრავალი ქართველი ტყვე, ამიტომ კომიტეტის ერთერთ მნიშვნელოვან საქმიანობას ტყვეთა მოვლა-პატრონობა შეადგენდა. ამ საპატიო მოვალეობას იგი დიდი გულისყურითა და სიყვარულით ეკიდებოდა. კომიტეტი აწარმოებდა ტყვეთა აღწერას, ახერხებდა ზოგიერთის განთავისუფლებას და ამავე დროს ზრუნავდა სხვათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

აი, ამ ტყვეთაგან, რომელთა უდიდესმა ნაწილმა დიდი ენთუზიაზმით გამოსთქვა სურვილი სამშობლოს დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ ბრძოლისა გერმანელების მხარეზე, კომიტეტმა შეადგინა პირველი ქართული ლეგიონი; 1916 წელს ლეგიონი უკვე მთლიანად ჩამოყალიბებული იყო და წარმოადგენდა ფრონტზე მებრძოლ რეგულარულ ძალას. 2.000 კაცისაგან შემდგარ ქართულ ლეგიონს ხელმძღვანელობდნენ გერმანელი და ქართველი ოფიცრები. ქართველთაგან ლეგიონის მთავარი ოფიცერი იყო ლ. კერესელიძე. ლეგიონის საინტენდანტო ნაწილი ებარა მელ. ქარცივაძეს. ლეგიონმა მიიღო მონაწილეობა მრავალ ბრძოლაში ჯერ ფრონტზე დიდ ომში, ხოლო შემდეგ საქართველოსა და კავკასიაში. პირველი ქართული ლეგიონი, თავისი გმირული ბრძოლებითა და საქმეებით, დარჩება ჩვენს სამხედრო ისტორიაში ერთერთ შესანიშნავ მოვლენად.

დასასრული შემდეგ ნომერში

## მეჯაჭიანის ქრონიკიდან

### დე გოლის რეკორდი

დე გოლის კარგი გენერლობა არავის უთქვამს, მითუმეტეს არ გაგვიგონია მისი კარგი რეკორდსმენობა. მაგრამ, უკანასკნელ ხანებში ფრანგი ხალხის „ბელადმა" ისეთი სამი ნახტომი გააკეთა, რომ ძალაუნებურად ჩვენც უნდა ვიცნოთ მასში უდიდესი სპორტსმენი. მოვუსმინოთ ფაქტებს:

ჩრდილოეთი აფრიკიდან დე გოლი გადახტა (თუ გადაფრინდა!) ინგლისში. მაშინ მას ბევრი „საქმე" ჰქონდა, ჩერჩილს ხომ უნდა ეცნო „ცრუ ბელადი" და ნება დაერთო მისთვის დახწრებოდა საფრანგეთის „განთავისუფლებას". მეორე ნახტომი მან კანალზე გააკეთა, გადახტა რა ნორმანდიაში, ინგლის-ამერიკელთა ჯარებთან ერთად. მაგრამ, როგორც ცნობილია, ფრანგებმა ღირსეული შეხვედრა მოუწყეს. უბათალებულმა გენერალმა კინალამ დაამთავრა თავისი სამარცხვინო კარიერა მშობლიურ მიწაზე. ფრანგი პატრიოტის გასროლილმა ტყვიამ ისე დააშინა „განმათავისუფლებელი", რომ გადასწყვიტა მესამე ნახტომი გაეკეთებინა. ამ ნახტომით მან ამერიკაში ამოჰყო თავი და ეხლაც იქ „ისვენებს". შემთხვევით გადარჩენილი „ბელადი" ნერვებს იმშვიდებს ვაშინგტონში!

ერთი დრო იყო, დე გოლმა ისიც კი გადასწყვიტა, რომ ინგლისის ქვეშევრდომობა მიეღო, მაგრამ ჩერჩილთან შეთანხმებით ეს საკითხი დროებით გადაიდო.

მეტად საინტერესოა, არა? ვაიგენერალმა დე გოლმა ინგლისის ქვეშევრდომობა და ხტომის რეკორდები ამჯობინა თავისი ერის „განთავისუფლებისათვის" ბრძოლას. შორიდან ცქერა სჯობია, როგორ ანგრევენ მის სამშობლოს მისივე მეგობრები.

მოხ. ი. ა.

### „ჟველა აბაშელის საყვარელი ბელადი"



კომენტარიის ნაცვლად საბჭოთა კავშირსა და აბაშეთს შორის დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობის გამო...



გერმანელი ექიმი, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა საქართველოში, ქართულ ჰანგს უმღერის ჩვენი მოხალისეთა გუნდის წევრებს.

## [illegible]

### დედამიწის მოსახლეობა

დედამიწის მოსახლეობა განუწყვეტლივ მატულობს. 1800 წელს იგი უდრიდა დაახლოებით 775 მილიონ კაცს. ასი წლის შემდეგ გაიზარდა 1564 მილიონამდე, ე. ი. თითქმის ორჯერ. 1935 წლის აღწერით, დედამიწის მოსახლეობამ მიაღწია უკვე ორ მილიარდს. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ შენელდა დედამიწის მოსახლეობის ზრდის ტემპი, 2035 წელს მან უნდა მიაღწიოს 4 მილიარდს, ხოლო 2135 წელს (ე. ი. 200 წლის შემდეგ) — 8 მილიარდს. ეს მოსახლეობა რომ განაწილდეს თანაბრად დედამიწის ზურგზე, მაშინ ერთ კვადრატულ კილომეტრზე 90 კაცი მოვიდოდა. ამ შემთხვევაში დასახლებული იქნებოდა უდაბნოები, ტრამალები და ტაიგაც.

სწავლულები ამტკიცებენ, რომ მოსახლეობის მაქსიმალური სიმჭიდროვე (რომლის ზევით უკვე შეუძლებელი იქნებოდა ცხოვრება ფართობის სივიწროვის გამო) უდრის 1350 კაცს ერთ კვადრატულ კილომეტრზე. ასეთი ვარაუდით დედამიწის მოსახლეობა შეიძლება გაიზარდოს 200 მილიარდამდე.

### „ჰავის მუზეუმი"

რომში არსებობს მსოფლიოში ყველაზე ორიგინალური მუზეუმი, ე. წ. „დედამიწის ჰავის მუზეუმი". იგი შესდგება მრავალი ოთახისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან ჰერმეტულად არიან გამოყოფილი. სხვადასხვაგვარი ვენტილატორების, მაცივრების, ხელოვნური მზისა და სინესტის საშუალებით, თვითეულ ოთახში შექმნილია განსაკუთრებული ჰავა. ამრიგად, რამდენიმე წუთის განმავლობაში მნახველს შეუძლია განიცადოს ყველა ქვეყნის ჰავა ჩრდილოეთი პოლუსიდან დაწყებული საჰარის ტროპიკულ სიცხეებამდე და ზღვის ნესტიან ჰავამდე. თვითეულ კლიმატურ ოთახში მოთავსებულია შესაფერი მცენარეულობაც. ჰავის მუზეუმი წარმოადგენს იმავე დროს ფლორის მუზეუმსაც.

### შესანიშნავი ადამიანების ხნოვანება

შესანიშნავი ადამიანები — მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, დიდი სახელმწიფო მოღვაწენი, მხედართმთავრები და სხვ., ცოცხლობენ გაცილებით მეტ ხანს, ჩვეულებრივ ადამიანებთან შედარებით. ცხადია, ზოგადი სტატისტიკური კანონი ამმხრივ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ზოგიერთი ცნობის მოყვანა ინტერესს მოკლებული არ არის.

ცნობილმა გერმანელმა პოეტებმა ვილანდმა და ტიკმა მიაღწიეს 80 წელს. ამდენივე ხანი იცოცხლეს ფილოსოფოსმა კანტმა, გამოჩენილმა ბერძენმა სწავლულმა პლატონმა და ფრანგმა მწერალმა შატობრიანმა. გერმანელი მხატვარი ლუკა კრანახი გარდაიცვალა 81 წლისა; ტოლსტოი — 82 წლისა; გოეთე, ბისმარკი, ვიქტორ ჰიუგო და ვოლტერი — 83 წლისა; ნიუტონი და ედისონი — 84 წლისა; გერმანელი ისტორიკოსი მომზენი და ფელდმარშალი ჰინდენბურგი — 86 წლისა, გამოჩენილი რუსი მეცნიერი პავლოვი — 87 წლისა; მიქელ-ანჯელო — 89 წლისა. 90 წლამდე იცოცხლეს აგრეთვე ცნობილმა გერმანელმა მხატვარმა მენტელმა და ბუნებისმეტყველმა ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტმა. იტალიის გენიალური მხატვარი ტიციანი გარდაიცვალა 99 წლის ასაკში.

## გასართობი

### ჭადრაკი

ეტიუდი № 3

ჭადრაკის თეორიიდან



შავები: მფh8, პa6, პb7 (3).

თეთრები: მფd8, პb6, პh2 (3).

თეთრები იწყებენ და იგებენ.

ამოცანა №14-ის გადაწყვეტა: ეტa4 - e4!

## ნარევი

### მათემატიკური საკვირველება

მათემატიკურ გამოანგარიშებებს ხშირად მეტად საინტერესო და ამასთან საკვირველ შედეგებამდე მივყავართ. მაგალითად, სამი ციფრით შეგვიძლია ისეთი დიდი რიცხვი მივიღოთ, რომელზედაც ბევრს ალბათ წარმოდგენაც არა აქვს. ცხრა მეცხრე ხარისხში და მიღებული რიცხვი კვლავ მეცხრე ხარისხში აყვანილი იძლევა პირდაპირ ფანტასტიკურ რიცხვს. ქაღალდის არშიის სიგრძე, რომელზედაც დაეტევოდა ეს რიცხვი, უნდა იყოს 18.485 კილომეტრი (იმ ვარაუდით, რომ ერთ სანტიმეტრზე მოთავსებული იქნება 2 ციფრი). ეს მართლაც წარმოუდგენელი რიცხვია, მაგრამ მათემატიკოსებისათვის საზღვარი საერთოდ არ არსებობს. ეს რიცხვი რომ დაიწეროს, რასაკვირველია არ არის საკმარისი ადამიანის სიცოცხლე იმისათვის, რომ ამ რიცხვის ყველა ციფრი ქაღალდზე იქნას გადატანილი, თურმე ნუ იტყვით, საჭირო ყოფილა 369 მილიონი წელიწადი!

## ფეხბურთი

### ქართველ მოხალისეთა შეხვედრა ჰოლანდიელთა ნაკრებ გუნდთან

ამ რამოდენიმე დღის წინათ ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში, № ქართული ათასეულის ფეხბურთელთა და ჰოლანდიის ერთერთი ქალაქის ნაკრებ გუნდს შორის.

თამაში მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა, მაყურებელი უდიდესი დაძაბულობით ადევნებდა თვალს შეჯიბრის მსვლელობას. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 3 : 3.

ათასეულის მოთამაშეებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მოხალისეები მ. ს., მ. ნ., და გ.

გუნდის ყველა მოთამაშე სამწყობრო და საცეცხლო მომზადების ფრიადოსანია.

მოხ. ბ. ბზვანელი.

## შეამოწმე შენი ცოდნა

1. როდის დაიბეჭდა პირველად „ვეფხის ტყაოსანი"?
2. რამდენი თვალი აქვს ფუტკარს?
3. რომელ წელს გაუქმდა იმერეთის სამეფო?
4. როდის და ვინ გამოიგონა მიკროსკოპი?
5. რა არის ინდიუმი და რა გამოყენება აქვს მას?

## ჩვენი ფოსტა

* მოხ. მიხეილ ს—შვილს, პროფესიით აგრონომს, რომელიც 1944 წლის იანვრამდე ირიცხებოდა ზახლავში მყოფ ქართულ ნაწილში პროპაგანდისტად, ვთხოვთ გვაცნობოს თავისი ადგილსამყოფელი და საველე ფოსტის ნომერი.

* მოხ. ბ. დ—ძეს: თქვენი წერილი „ცეცხლის ხაზზე" მეტად ზოგადია, მასში მოცემული არ არის არცერთი კონკრეტული ფაქტი; მარტო ის გარემოება, რომ თქვენი ასეული ცეცხლის ხაზზე იმყოფება, არ არის საკმარისი კორესპონდენციის შესადგენად. მოგვწერეთ წერილები რაც შეიძლება მდიდარი შინაარსით, რათა რედაქციას შესაძლებლობა ჰქონდეს მათი გამოყენებისა.

* მოხ. ვ. ლადარიას: მივიღეთ თქვენი წერილი, სადაც თქვენ კითხვას სვამთ — შეუძლია თუ არა რიგით მოხალისეს ითანამშრომლოს ჩვენს გაზეთში. რედაქცია ამის შესახებ გაცნობებთ, რომ თვითეულ თქვენგანს არამცთუ შეუძლია სწეროს თავის ორგანოში, არამედ მორალურად მოვალეც არის, ვინაიდან „საქართველო", როგორც მისი სათაურიდან სჩანს, წარმოადგენს ყველა ქართველი მოხალისის გაზეთს. რედაქციაში შემოსული მასალა, თუ იგი ოდნავ მაინც აკმაყოფილებს კორესპონდენციისადმი წაყენებულ მოთხოვნილებას, აუცილებლად ადგილს ჰპოვებს გაზეთის ფურცლებზე.

გაზ. „საქართველოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ლიტერატურისმცოდნისა და საზოგადო მოღვაწის

მიხეილ წულუკიძის

გარდაცვალების გამო.

## სამგზავრო გვალაგი

### ჰანს როზლერი

არა, ადამიანზე პირველი შთაბეჭდილების შემდეგად არავითარი აზრი არ უნდა გამოსთქვა!

ელენემაც, „უბედური შემთხვევის" შემდეგ, მალე გამოასწორა თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

ერთხელ, როდესაც, მგზავრობის დიდი მოტრფიალე, იგი ქალაქიდან სოფელში მშობლებთან მიემგზავრებოდა, „უბედურ ბედნიერებას" შემდეგნაირად წააწყდა: მატარებლის გასვლას ხუთი წუთი უკლდა, როდესაც უეცრად განყოფილების კარები, სადაც ელენე მარტოდმარტო იჯდა, გაიღო და არასაყურადღებო გარეგნობის მქონე ახალგაზრდა კაცმა ელენეს ასეთი სიტყვებით მიმართა:

— უკაცრავად ქალიშვილო, შეიძლება თქვენთან შემოსვლა? არის კიდევ აქ ერთი ადგილი?

ელენემ, თითქოს არც გაუგონიაო, ფანჯარაში გაიხედა და მგზავრების დათვალიერება დაიწყო— ახალგაზრდა კაცმა შეკითხვა გაიმეორა:

— არის აქ კიდევ ერთი ადგილი თავისუფალი?

— ნუ მაწუხებთ, — ბრაზმორევით მიუგო ელენემ.

— უკაცრავად, მაგრამ...

— მამაკაცები უცნობ ქალებს ასე როდი მიმართავენ ხოლმე!

— ბოდიში, ქალიშვილო, მაგრამ, მე მგონია...

— ვიცი, ვიცი, რაც ვინდათ სთქვათ, კარგად ვიცნობ თქვენს ქათინაურებს, — უპასუხა ელენემ თავაღებით.

გამხდარი, ჩია ახალგაზრდა, იმის ნაცვლად, რომ ქალიშვილისათვის ყურადღება მიექცია, კუთხეში წყნარად დაჯდა და ფეხსაცმლის თვალიერება დაიწყო.

ელენე ბოღმისაგან იხრჩობოდა. მთელი მგზავრობა მოწამლული იყო და ყოველგვარი იმედები საინტერესო ნაცნობობაზე ოცნების მორევში თანდათან შორს მისცურავდა. მამაკაცები მტრედები როდი არიან, სადაც ერთი ზის, იქ მეორე არასდროს არ მოვა — ნაღვლიანად გაიფიქრა მან და ახალგაზრდა ყმაწვილს ზიზღით გადახედა.

უეცრად კარები გაიღო და ხელბარგის მზიდავმა სამგზავრო გვალაგი შემოიტანა.

— ეს თქვენი გვალაგია, ბატონო?

— დიახ, — მიუგო ახალგაზრდამ წყნარად.

— მაშ მე მას საბარგო ბადეში მოვათავსებ.

— დიახ, შეიძლება.

ბარგის მზიდავმა კუთვნილი გასამრჯელო მიიღო და სწრაფად გავიდა.

ბრაზმორეულ ელენეს ცნობისმოყვარეობამ სძლია და გვალაგისაკენ მიიხედა. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბადეში, ქვეყნის ყველა დიდი ქალაქის სასტუმროების მბრწყინავი ნიშნებით აჭრელებული მშვენიერი სამგზავრო გვალაგი დაინახა.

— ნუთუ? — გაიფიქრა მან და იქვე ჩაჯდა.— ნუთუ ეს შესაძლებელია? ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი შემთხვევაა! მამაკაცი, რომელსაც მთელი ქვეყნის ქალაქები მოუვლია!—ის გაკვირვებით უცქეროდა გვალაგს და მგრძნობიარე ღიმილით ნაზად გადმოხედავდა ხოლმე პატრონს...

— გსურთ, რომ ჩვენ კარგ დამოკიდებულებაში ვიყოთ? — შეეკითხა ის ახალგაზრდას ცოტახნის შემდეგ.

— რათქმა უნდა! — უპასუხა მან წყნარად.

—თქვენ ჩემზე ისევ გულმოსული ხართ?

— არავითარ შემთხვევაში, მე ის უკვე დავიწყებას მივეცი.

—მგზავრობაში ყოველთვის ასეა, ადამიანი ნერვიულობს, არ შეუძლია ფრთხილად და დაკვირვებით იმოქმედოს.

— სრული ჭეშმარიტებაა, ქალიშვილო, — ყოველგვარი სურვილის გარეშე წარმოსთქვა მან.

ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ახალგაზრდა კაცს ბევრი ლაპარაკიც შეეძლო, მაგრამ ელენეს უხეშმა დამოკიდებულებამ იგი სრულიად დაამუნჯა. ამ მძიმე მდგომარეობიდან ისევ ელენემ გამოიყვანა.

— არ გსურთ ჩემს გვერდით დაჯდეთ?

— სიამოვნებით, — თვალებგაბრწყინებულმა ცოცხლად წარმოსთქვა მან და მოღიმარ გოგონას გვერდით მოუჯდა.

— ასეთ მდგომარეობაში საუბარი უფრო გახაგებია!

— რათქმა უნდა, ქალიშვილო!

...და მართლაც, საუბარმა მალე მხიარული ხასიათი მიიღო, ამოძრავდა არამარტო ენა და ტუჩები, არამედ ხელები და თუ, შეიძლება ითქვას, მთელი ტანიც კი. ელენე ვაჟისადმი მეტად მგრძნობიარე გამოდგა. საუბრის დროს ქალის თვალები ხშირად მრავალაზროვნად შესცქეროდნენ ვაჟს, რასაც ახალგაზრდა ყმაწვილი უყურადღებოდ არ სტოვებდა და ასეთ დროს ელენეს პაწია და სათუთ ხელებს თავის ხელებში მოიმწყვდევდა ხოლმე. პირველად ელენე თითქოს ბრაზობდა, იმუქრებოდა, მაგრამ ბოლოს ვაჟმა დასძლია და იქამდე მივიდნენ, რომ მწვავე კოცნამ ელენეს ოხვრაც თან ამოიტანა.

— არ გიკვირს, ფრანელ?

— რა, ჩემო კარგო?

— რომ ყოველივე ეს ჩვენს შორის ასე სწრაფად მოხდა?!

რათქმა უნდა, ელენე, ძალიან გაკვირვებული ვარ, მაგრამ ყველაფერ ამას ალბათ თავისი მიზეზები აქვს.

— რასაკვირველია აქვს, ფრანელ!

— ეს ასეც უნდა იყოს, ჩემო ელენე!

— გინდა ეს მიზეზები იცოდე?

— თუკი მათი თქმა გსურს, რასაკვირველია!

— მსურს, ჩემო ფრანელ! შენ ისინი აუცილებლად უნდა იცოდე. მომისმინე, ჩემო ძვირფასო: მე გაგიჟებით მიყვარს ტურისტები, მამაკაცები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობენ!"

— ააა..!

— შენ კი მთელი ქვეყანა შემოგივლია და ბევრი ქალაქი გინახავს, ფრანელ!

— აპარბებ, ელენე!

— ზრულიადაც არა, შენ ისევე მორცხვი ხარ ჩემთან, როგორც პირველად. მე კარგად ვხედავ შენს გვალაგზე ყველაფერ იმას, რაც გითხარი.

— ჩემს სამგზავრო გვალაგზე?

— ეს ხომ შენი გვალაგია, ფრანელ? — შეშინებული შეეკითხა ელენე.

— დიახ, ეხლა ჩემია!

— როგორ თუ ეხლა? რას ნიშნავს ეს? — გაკვირვებით შეეკითხა იგი ვაჟს...

— ეს გვალაგი დღეს დილით დედამ გადმომცა, იგი თურმე რვა წლის წინათ ვიღაც მოგზაურს დარჩენია ჩვენს პანსიონში...

გერმანულიდან სთარგმნა

მოხ. თამაზ ჩოხელმა.

პასუხისმგებელი რედაქტორი

პაატა ვარძიელი

რედაქციის მისამართი

Georgische Zeitung „Sakarthwelo"

Berlin SW 68, Neuenburgerstr. 14.

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა